ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 კაპ. პარასკევი, 1917 წ. მკათათვის 21 (3)

# საქართველო

ხელის მოწერა და ყოველგვარი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ტელეფონი 15—73
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, ред. газ. „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ. ...ის გარეშე მიღებულ განცხადებათა ... სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირს. მეტი.
თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი. მხოლოდ ქალაქში. ქალაქ გარეთ გაზეთი ერთი თვით არ გაიგზავნება.

№ 158 ეროვნულ-დემოკრატიულ გაზეთი № 158

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

დეზერტირების დასჯის ახალი კანონ-პროექტი.

ბოლშევიკების ბელადთა შეპყრობის ამბები.

სასურსათო საქმეთა მინისტრი ხალხში ძალმომრეობის მოსპობას მოითხოვს.

დამფუძნებელ კრების მოწვევის კანონ-პროექტი მთავრობამ მოიწონა.

სასულიერო პირთა ჯარში გაწვევა.

რუსის ჯარის დამარცხება ზბრუჩისა და დნესტრის შუა ფრონტზე.

ახალ მთავარ-სარდლისა და სარდლების დანიშვნა.

გერმანელებს ახალი ჯარი გადმოჰყავთ რუსეთის ფრონტზე.

გერმანელებმა იქსკიული აიღეს.

სახელმწიფო სათათბირო დროებითი მთავრობის წინააღმდეგ.

დროებითი მთავრობის მოკავშირეთადმი მიმართვა.

### წერილები

**მეთაური.** სოციალისტური მთავრობის კრიზისი და სახელმწიფო სათათბირო.

**ბექაია.** რუსეთის სახელმწიფო და ერები.

**ქართული პრესა.** სოციალ-დემოკრატთა საარჩევნო სია და „ალიონი".

დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიათა დებულება. (დასასრული).

საქალაქო არჩევნების წეს-რიგი.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი**

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12, ქართულ საადგილ-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმავლობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად. ყოველგვარი ცნობების მიღება და წევრად ჩაწერა შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში ბ. ნ. ევგენი იაკობის ძე გიგინეიშვილთან.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი**

აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან გ. ყიფიანთან.

751

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი**

აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის გამგებელ კლდიაშვილთან.

10—742—10

**კავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი**
**მუშათა, ჯარის-კაცთა, გლეხთა დეპუტატ. საბჭოებისა**
მოთავსებულია სასახლეში, ყვითელ დარბაზში.

პრეზიდიუმის შემადგენლობა: თავმჯდომარე ე. პ. გეგეჭკორი. თავ. ამხანაგი დ. დ. დონსკოი. „ „ ნ. ვ. რამიშვილი.

პრეზიდიუმის წევრები: ნ. ფ. ვერეზოვი, ი. ა. ბეკზადიანი, ქ. გაზაზიანი, ხ. ზეინალოვი, ი. ი. ილაშკინი, ნ. ა. თარხანოვი.

მთხოვნელთა მიღება ყოველ დღე დილ. 10—12 საათამდე. ტელეფ. № 4—90
3—705—2

**ახალი საკრებულო**
საზაფხულო სადგომი. მიხეილის ქუჩა № 131.
(ყოფილი ხარფუხის კლუბი)
პარასკევს, 21 ივლისს 1917 წ.
ლ. პ. ბაუშევის მეთაურობით რუსულ ენაზედ წარმოდგენილი იქნება
I **კომედ. სცენა** 1 მოქმედ. II **ოპერეტკა** 1 მოქმედ.
III **დივერტისმენტი-კაბარე**
რომანსები, სიმღერები, კუპლეტები და სხვ.
დასაწყისი საღ. 9 საათზედ.
1—708—1

მოსკოვის ქართულ სამეცნიერო საზოგადოების გამოცემა
გრიგოლ ვეშაპელის წიგნი
**Единство Грузіи и Русскій протекторатъ**
(რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი და ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, სამეგრელოსი და გურიის დაკავშირებითი ხელშეკრულება)
იყიდება თბილისში:
მ. კიკნაძის („Новая Речь"), ცენტრალის და წერა-კითხვის წიგნის მაღაზიებში.
საწყობი: Москва, Поварская 29, Общество Грузинъ.
წიგნის ფასი 75 კაპ.
3—706—1

ექიმი
**მ. ფ. მგალობლიშვილი**
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღის ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი
**გ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა კვირისა. მიხეილის პროსპ. № 36, მეორე სართული.

ექიმი-ქალი
**მ. გ. წულაძე**
იღებს ხალხოსნურად ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა.
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ... საეკონომიო საზოგადოებაში ... სახლი ... ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქალისა
**ე. ივ. ბაღდასაშვილი-მათეშვილისა**
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
... ქუჩა № 20.

ექიმი
**გ. ი. მაჩაბელი**
იღებს ნაგულთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ... საღამოს 5—7 საათამდე, ... № 4. (თ.—202—)

ექიმი
**ე. ლ. შალამბერიძე**
იღებს საშვილოსნოს სნეულთ და ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ... ქუჩა № 7.

... ბალანდარიშვილი
... მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი
**ა. დ. კეკელია**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—4)

ექიმი
**გ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 5—6 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, ... ქუჩა, № 19.

### თბილისი, მკათათვის 21.

## სოციალისტური მთავრობის კრიზისი და სახელმწიფო სათათბირო

რუსეთის რევოლუციამ უკვე რამოდენიმე ეტაპი გაიარა და ყოველი მათგანი განსაკუთრებული ლოზუნგის ქვეშ მიმდინარეობდა.

პირველი ეტაპი, როდესაც ყველას მიაჩნდა, რომ რევოლუცია არის ბურჟუაზიული და როგორც ასეთი ბურჟუაზიულ ძალთა თანამშრომლობას ითხოვსო.

ასეთი წინ დებულება, რასაკვირველია იმას გულისხმობდა, რომ მისთვის საპატიო მოვალეობა მიეკუთვნათ და ბურჟუაზიაც მოქცეულ იქმნა რევოლუციის სათავეში.

მაგრამ სწორ წინდებულებიდან რუსეთის დემოკრატიამ სწორი დასკვნა ვერ გამოიყვანა. ბურჟუაზიას, რევოლუციისთვის საჭიროთ აღიარებულს და სამთავრობო ძალით აღჭურვილს თავის ნდობა მოაკლო და მის ძალაუფლებას თავისი დაუპირისპირა.

ბურჟუაზიული დემოკრატია დამარცხდა. თუ დამარცხებას ნიშნავს სამმართველო ძალის დაკარგვა.

მაგრამ ეს დამარცხება ერც სოციალისტურ დემოკრატიის გამარჯვებას ნიშნავდა, რადგან მას არ ქონია განზრახვა ბურჟუაზიისგან საბოლოო განშორებისა, ხოლო მათი გზების განსხვავება კი თვალსაჩინოთ აისახა.

სოციალისტური დემოკრატია არ იყო მზათ თვით აეღო საჭენი მმართველობისა და ამისთვის ბურჟუაზიული დემოკრატია კიდევ იყო საჭირო.

რევოლუცია მეორე ეტაპში გადავიდა: დემოკრატიამ გაიზიარა ნაწილი პასუხისგებისა, მაგრამ არც აქ სთქვა მან თავის გარკვეული სიტყვა და მისი ნდობით და სრულ უფლებიანობით მხოლოდ თავისი წარმომადგენლები აღჭურვა.

შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, თითქოს გარეგანად მუშაობა სწარმოებდა შეთანხმებულად და მთავრობა მთელ სახელმწიფოებრივ ელემენტებს წარმომადგენლობდა, ხოლო თვით ელემენტები კი იშლებოდენ და ეს კოალიცია მთავრობაში რომ იყო დაცული თვით საზოგადოებაში ირღვეოდა ერთის მხრით უკიდურეს სოციალისტთა მოღვაწეობით და მეორეს მხრით ზომიერთა პოლიტიკის გაურკვევლობით.

უკიდურეს ელემენტთა აქტიურ გამოსვლას უფრო ზომიერთა (და შესაძლებელია უფრო გონიერთა) გადატეხა უნდა მოჰყოლოდა და დემოკრატიის ის ნაწილი, რომელმაც სამთავრობო პასუხისგება გაინაწილა, ამ პასუხისგებასთან დაკავშირებული ძალაუფლებაც იგრძნო და სულ სხვა კილოზედ ალაპარაკდა, ვიდრე მაშინ, ოპოზიციაში რომ ედგა ბურჟუაზიულ მთავრობას.

ეხლა რევოლუციის მესამე ეტაპია, როდესაც დემოკრატია რევოლუციის ხსნას ეძებს; მის რყეულ პოლიტიკის და მთავრობის ავტორიტეტის დაცემის წადილში რუსეთი ანარქიის უფსკრულში გადიჩეხა და მტრის შიშში ჩავარდა.

დღეს ძიებაა იმ მტკიცე ძალისა, რომელმაც რუსეთი ერთსულოვნად უნდა შეკრას, მაგრამ რუსეთის დემოკრატია მომენტს ვერც დღეს აფასებს სათანადოთ.

თავდახსნის ცეცხლში, დემოკრატია ისევ ბურჟუაზიასთან მიდის და მასთან თანამშრომლობას ცდილობს, მაგრამ მასთან ერთად ისეთს საკითხებს აყენებს, რომელნიც შეუძლებლად ჰქმნიან ამ შეთანხმებულ თანამშრომლობას.

გუშინდელ დეპეშებში გამოქვეყნებული იყო მუშათა, ჯარის და გლეხკაცთა საბჭოების დადგენილება, რომელშიდაც აუცილებლად სცნობდენ რევოლუციის დასახსნელად „ყოველ ღონისძიების მიღებას, რათა სამართველოდ ბურჟუაზიის ძალნიც იყვნენ მიწვეულნი". მაგრამ მასთან ერთად აუცილებლად სცნობენ დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გაყვანას განზრახულ სოციალისტურ რეფორმათა. სწორეთ ის, რამაც დააშორა დემოკრატიისა და ბურჟუაზიის გზანი, შეერიგების პირობათა სთვლიან.

ბურჟუაზია ამაზედ თუ არ დასთანხმდა მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი სოციალისტურ საბანში იყო გახვეული, ძნელი წარმოსადგენია, რომ დასთანხმდეს მაშინ, როდესაც სოციალისტური ალმური შენელდა და თვით ზოგიერთი სოციალისტურ დემოკრატიის პასუხისმგებელი მოღვაწენი ისე დინჯათ ალაპარაკდნენ, რომ მილიუკოვისთვისაც კი შეიქმნენ გასაგებნი. რევოლუციის დახსნის ინტერესები მოითხოვდენ, რომ დემოკრატიას უფრო გარკვეული ენით ელაპარაკნა, თორემ ის ბუნდოვანება, როგორითაც საბჭოთა რეზოლუცია არის მოცული რევოლუციის წინადროინდელ მთავრობას აბასითებდა, როდესაც იგი გვერდს უხვევდა არსებით საგანს და ამბობდა ისე, რომ არ გაეგოთ მისი ნათქვამი. ასეთი ლაპარაკით ის მთავრობა ახალმა სარევოლიუციო მთავრობამ შეცვალა და უკანასკნელი კი ბურჟუაზიის წინ სდგას, რომელთან ან უნდა შეერიგდეს, ან მასთან საბრძოლველად გაემზადოს.

დღევანდელი დეპეშა უკვე გვაცნობებს, რომ ბურჟუაზიამ გარკვეულად დაიწყო ლაპარაკი თავის უფლებებზედ და თავის მოვალეობაზედ სახელმწიფო სათათბიროს პირით.

ისეთი სახელები იქნენ გახსენებულნი, რომელნიც წინამორბედნი არიან სასტიკი ბრძოლისა.

ბურჟუაზიის მისწრაფებათა თვალსაჩინო გამომხატველმა დეპუტატმა მასლენიკოვმა თავის სიტყვათა სრულ პასუხისგებით განაცხადა, რომ რუსეთს ღუპავენ ის „მაწანწალები, რევოლუციის დამწყებს-სათათბიროს, რომ მიეტმასნენო და ჯარის კაცთა და მუშათა საბჭო, რომ დაირქვესო".

ასეთი მძაფრი გამოსვლა სოციალისტურ დემოკრატიის წინააღმდეგ პირველია, მაგრამ ფრიად სიმპტომატიური.

სოციალისტურ დემოკრატიის ორგანოთ, დღეს მეორე ორგანო უპირისპირდება სახელმწიფო სათათბირო, რომელიც ბურჟუაზიის მიერ „ერთად ერთ უფლება მოსილ ორგანოთ არის გამოცხადებული „რუსეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრის მიხეილ ალექსანდრეს ძის მიერ."

ამ უკანასკნელის ხსენება დღევანდელ მდგომარეობაში განსაკუთრებულ ელფერს აძლევს ბურჟუაზიის გამოსვლას.

რევოლუციაში გამოდის ახალი ძალა, რომელსაც აქამდის მალული მისწრაფება ქონდა და ამიერიდან სჩანს გარკვეულ ლოზუნგს წამოაყენებს.

თუ ხსნა იყო საჭირო რევოლუციისა დღემდე, მისი დამხსნელი ძალები უთუოდ შემცირდებიან და ეს რევოლუციის ხელმძღვანელებისაგან კიდევ უფრო მეტ სიდინჯეს ითხოვს მდგომარეობათა დაფასებაში.

## ქართული პრესა

### სოც.-დემოკრატების საარჩევნო სია და „ალიონი"

თბილისის სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მიერ გამოქვეყნებულ სახმოსნო კანდიდატთა სიაში არც ერთი არ არის „ალიონი"-ს ჯგუფიდან. ამის გამო გაზეთი „ალიონი" სწერს:

პარტიის ხელმძღვანელი წრე ტენდენციურად განზრახ ჰქმნის ამხანაგთა შორის უკმაყოფილებას, ართულებს და აღწვავებს ურთიერთობას და ნიადაგს უმზადებს განხეთქილებას... ყველა ეს კი ვნებს პარტიას და მის საქმეს, მის წარმატებას. აი, ლიხელის პირით ჩვენ უკვე შევეკითხეთ ამხანაგებს, ვთხოვეთ ახსნათ, როგორ მოხდა, რომ „ალიონელთაგან" არავინ შეიტანეს კანდიდატთა სიაში: განზრახ, თუ შემთხვევით, მაგრამ ამაოდ; პასუხი ვერ მივიღეთ. ესეც ერთგვარი სიტყვაა, პროგრამაა მოქმედებისა პარტიის ხელმძღვანელ წრეში, ესეც თავისებური იარაღია ამხანაგებთან ბრძოლისა: გაჩუმება, საქმის მიჩქმალვა, საკითხის მიფუჩეჩება—რა არის, ამხანაგი არ გახმიანდეს, მითქმა-მოთქმა არ გამოიწვიოს და მალე დავიწყებას მიეცესო.

დღეს ჩვენ ყველა ამხანაგის საყურადღებოდ და ცნობად ვაცხადებთ, რომ ის რაც, მოხდა, მოხდა განზრახ და არა შემთხვევით. ამხანაგების ამ საქციელში ნათლად გამოიხატა სამტრო განწყობილება „ალიონი"-ს ჯგუფთან და სურვილი ამ ჯგუფის გამოიზრუნებისა პარტიის თვალში. ვიმეორებთ, რომ ასეთი „ტაქტიკა" პარტიის ხელმძღვანელ წრისა ვნებს ჩვენს საერთო საქმეს, ავნებს პარტიას, მის წარმატებას, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ამაში ჩვენ წილი გვედვას,—„ალიონის" ოცდახუთმი ნომერი ამოწმებს ჩვენს უკიდურეს „ლოიალობას". დიახ, პასუხი იმათ აგონ, ვინც ამხანაგთა წინაშე ასეთ „ტაქტიკას" აწარმოებს.

ჩვენ კი ამიერიდან პარტიულ მოვალეობად მივიჩნევთ ყოველთვის ვამხილოთ იმ ამხანაგთა უტაქტო საქციელი, ვინც აღწვავებს პარტიაში ამხანაგთა შორის ურთიერთობას, განზრახ ხელოვნურად ჰქმნის პარტიაში სამტრო განწყობილებას და ნიადაგს უმზადებს ისედაც დაქსაქსულ პარტიის განხეთქილებას.

# ომი და ზავი

### დეპეშები

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 18. ოფიციალი. გუსიატინის დასავლეთით, მოპირდაპირის ნაწილები, გადავიდნენ ზბრუჩის აღმოსავლეთ ნაპირზედ. მათ დაიჭირეს ჩვენი თხრილების ორი ხაზი, მაგრამ ხიშტების მედგარი ბრძოლით იგინი კვლავ გავდევნეთ თხრილებიდან და მდგომარეობა აღდგენილ იქმნა. პოდფილიპიე წავართვით. გერმანუვკის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ჩვენ ზალეშჩიკი დავთმეთ დნესტრის სამხრეთით, მტერი ზალეშჩიკის—ნიატინის ასპარეზზე გადმოვიდა იერიშებით, სასტიკ ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი სანგრები ხელიდან ხელში გადადიოდა, მან შესძლო შეევიწროვებინა ჩვენი ჯარები დორნეშტ-ზასტავკის რაიონში, ვერენჩანკ-ორეშანთან უკანასკნელ ბრძოლის დროს თავი ისახელეს: ფინეთის მე-3-ე მსროლელთა დივიზიამ, კერძოდ ფინელთა მე-10-ე მსროლელმა პოლკმა, აგრეთვე პროსკუროვის ქვეითმა პოლკმა. მან დაჰკარგა თითქმის მთელი თავისი აფიცრობა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სროლაა.

**რუს-რუმინელები რუმინიაში იმარჯვებენ.**

**რუმინეთის ასპარეზი.** ვალეპუნტის შოსე გზის ჩრდილოეთით, მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ. შოსეს სამხრეთით, მან შეარყია ჩვენი ლაშქრის მდგომარეობა. სოვეჯის ჩრდილო-დასავლეთით ათი ვერსის მანძილზედ, რუმინელმა ჯარებმა მტრის გამაგრებული პოზიციები აიღეს. მდ. პუტნის მარჯვენა ნაპირზედ, ბოიანის რაიონში; დანარჩენ ადგილებში სროლაა.

**კავკასიის ასპარეზი** უცვლელად არის.

**მფრინავთა მოქმედება.** რიგის სამხრეთით ჩვენმა საარტილერიო ცეცხლმა გერმანელთა თვითმფრინავი ჩამოაგდო, მფრინავები და აპარატი დაიმსხვრნენ. გერმანელთა თვითმფრინავთ ესკადრონები ყუმბარებს ჰყრიდნენ ვილეიკა, სტოლმცის და ზანირიეს სადგურებზედ.

საავენტოს ცნობით, გერმანელთა დღევანდელი შემოტევა გამოწვეულია იმის გამო, რომ გერმანელებს ჰქონიათ დაწვრილებითი ცნობები ჩვენი ლაშქრის მდგომარეობის შესახებ. ჰინდენბურგი დაჰპირებია ვილჰელმს, რომ რუსეთს ორი თვის განმავლობაში, ბრძოლაზედ ხელს აღებინებო.

**პეტროგრადი.** მკათათვის 19. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. ბროდის სამხრეთ-დასავლეთით, დუმ-ზარკოვის რაიონში, დიდ საარტილერიო მზადების შემდეგ მოპირდაპირემ იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. მოსულმა მაშველმა ჯარმა მდგომარეობა გამოაკეთა. ამ ბრძოლაში თავი ისახელა მე-419 პოლკმა. გალიციაში ტრემბოვლის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა გრჟიმალოვის რაიონში 1 პუნქტი დაიჭირა. მტერმა რამდენჯერმე სცადა მდ. ზბრუჩის გადმოსვლა, მაგრამ ზბრუჩის სამხრეთით უკუ ვაქციეთ. მკათათვის 18-ს მოპირდაპირემ საუკეთესო ძალებით იერიშები მოიტანა ჯარებზე ზბრუჩის და დნესტრის შუა პოზიციებზე ზალუჩიე გერმანუვკას რაიონში და ჩვენი ჯარი აიძულა დახეულიყო. ჩვენი ჯარი დიდათ დაზარალდა, განსაკუთრებით აფიცერთა შემადგენლობის მხრივ. პრუტის და დნესტრის შუა, მკათათვის 18-ს მტერი განაგრძობდა იერიშების მოტანას, განსაკუთრებით დნესტრის სამხრეთ ნაპირებისაკენ და ჩერნოვიცის შოსესკენ. შემდეგ ამისა ჩვენი ლაშქარი იძულებულ იყო აღმოსავლეთით უკან დაეხია. კარპატებში ონიტულის რაიონში მტერმა უმნიშვნელო იერიში მოიტანა.

**რუმინეთის ასპარეზი.** კიმპოლუნგის სამხრეთ-დასავლეთით, ნეგრის რაიონში, მტერმა ჩვენი ჯარი იერიშით შეავიწროვა და აღმოსავლეთით დაახევინა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სროლაა.

**კავკასიის ასპარეზი უცვლელადაა.**

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მკათათვის 18. ფრანგთა ჯარებთან ერთად, ჩვენს მარჯვენა ფრთაზედ, ჩვენ დიდი შეტევა მოვახდინეთ ლისის დასავლეთით.

**მფრინავთა მოქმედება.**

**ლონდონი.** მკათათვის 17. საამირალო იუწყება, რომ მკათათვის 14-ს ჩვენმა მფრინავებმა ღამე ტურუს, მიდდელკერკეს და გიტულის რაიონში რამდენიმე ტონი ასაფეთქებელი მასალა ჩაყარეს.

**ლონდონი.** მკათათვის 18. ოფიციალი. ლომბარძიუდეს მახლობლად ბრიტანელთა რაზმი გერმანელების თხრილებს დაეცა თავს.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა**

**პარიზი.** მკათათვის 17. ოფიციალი. ბევრენ დინ დაწყობილი კალიფურნიის ზეგანის აღმოსავლეთ ნაწილამდის საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. საარტილერიო ბრძოლაა აგრეთვე შამპანში და ობერინის რაიონში. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**გერმანელ ჯარის გადმოყვანა რუსეთის ასპარეზზე.**

**მომქმედი ლაშქარი.** მკათათვის 18. მზვერავთა ცნობით გერმანელები საფრანგეთის ასპარეზიდან თავიანთ ლაშქარს—რუსეთის ასპარეზზე ჰგზავნიან. მათ ჯარებს მიემატა ახალი ცოცხალი ძალები, როგორც ქვეითისა, ისე კავალერიის ნაწილებისა. ავსტრიელებს ცხენოსანი ჯარი სრულიად არა ჰყავთ,—განადგურებულია ცხენოსანთა 11 დივიზია.

**იქსკიულის აღება გერმანელებისაგან.**

**რიგა.** მკათათვის 18. სტრატეგიულის მოსაზრებით ჩვენ დავცალეთ იქსკიულის ხიდის სიმაგრენი, რომელთაც 21 თვის განმავლობაში ვიცავდით. ჩვენმა ჯარებმა დაიპყრეს დასავლეთ დვინის მარჯვენა ნაპირი. განთიადისას ჩვენ მიერ დატოვებული იქსკიული გერმანელებმა დაიჭირეს.

**მთავარ-სარდლის საუბარი პეტლიურთან.**

**კიევი.** მკათათვის 18. მთავარ-ბანაკიდან დაბრუნდა უკრაინელთა გენერალ მდივანი პეტლიური. უმაღლეს მთავარ-სარდალმა მასთან საუბარისას განაცხადა, რომ კიევს არავითარი საფრთხე არ მოელის და სთხოვს გენერალ სეკრეტარიატს, ყოველი ზომები მიიღოს რომ ასპარეზთან მცხოვრებნი არ აიყარნენ, არამედ თავის ადგილებში დარჩნენ.

**ახალ მთავარსარდლისა და სარდლების დანიშვნა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 18. უმაღლესი მთავარ-სარდალი, გენერალი კავალერიისა ბრუსილოვი ინიშნება დრ. მთავრობის განკარგულებაში. სამხრეთ-დასავლეთ ასპარეზის მთავარ-სარდალი—კორნილოვი ინიშნება უმაღლეს მთავარ-სარდალად კორნილოვის ნაცვლად სამხრეთ დასავლეთის ასპარეზზე ინიშნება გენ. ჩერემისინოვ. ხელს აწერს მინისტრთა თავმჯდომარე კერენსკი და სამხედრო სამინისტროს გამგე გენერალ-მაიორი ი. იაკუბოვიჩი.

**ლ. ჯორჯი საფრანგეთის შესახებ.**

**ლონდონი.** მკათათვის 18. ლლოიდ-ჯორჯმა აცნობა ჟურნალისტებს, რომ როგორც ის პარიზში მოგზაურობიდან დარწმუნდა—საფრანგეთის ხალხის მორალი მდგომარეობა, არასოდეს არ ყოფილა ისე კარგი, როგორც დღეს. იგი საესეა ძალითა და მხნეობით.

**საბერძნეთი.**

**სოლუნი.** მკათათვის 18. ასპარეზზე არავითარი ღირს-შესანიშნავი არა მომხდარა-რა.

# რევოლუცია

**დეზერტირების დასჯისათვის ახალი კანონის პროექტი**

**მომქმედი ლაშქარი.** მკათათვის 17. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის კომისრის თანაშემწე იუწყება, რომ ვინაიდან ეხლანდელ ფრონტის მდგომარეობა დამღუპველია რუსეთისათვის, მაროდერებისა და დეზერტირების დახვრეტის გარდა, საჭიროა ისეთ კანონის სასწრაფოდ გამოცემა, რომლის ძალითაც ფრონტიდან გამოქცეულები ყოველივე უფლებასთან ერთად მიწასაც ჰკარგავდნენ. დამნაშავენი განსაკუთრებით მძიმე სამუშაოსათვის შემდგარ მუშათა ჯგუფში ჩაირიცხებიან.

**ბოლშევიკების ბელადთა შეპყრობა**

**ჰელსინგფორსი.** მკათათვის 17. ბოლშევიკების ბელადთა შეპყრობის დაწვრილებით ცნობებს იტყობინებიან. შეიარაღებული ხალხი გაზეთ „ვოლნა"-ს (ტალღა) რედაქციას მიადგა. რედაქციაში არავინ აღმოჩნდა, მაგრამ მალე იქ გაზეთის თანამშრომლები გამოცხადდნენ. ხალხმა ისინი იმ წამსვე შეიპყრო. ამავე დროს ერთ სხვა ჯგუფმა ალექსანდრეს სახელის გიმნაზიას შემოარტყა ალყა და გაზეთის სოციალისტ-რევოლუციონერ—ინტერნაციონალისტების სახელით თანამშრომლები შეიპყრო. დაჭერილები ჩქარი მატარებლით პეტროგრადს გამოგზავნეს. უნდოდათ „ვოლნა"-ს რედაქტორის სტარკის დაჭერა, მაგრამ როგორც სჩანს მან უკვე თავს უშველა. „ვოლნა"-ს სადგომში დაბეჭდეს.

**დრ. მთავრობის სხდომების ახალი დარბაზი.**

**პეტროგრადი** მკათათვის 18 დღეიდან დროებით მთავრობის სხდომა გაიმართება საზამთრო სასახლეში—მალახიტოვის დარბაზში. 15 საათს კერენსკის თავმჯდომარეობით, შესდგა დრ. მთავრობის კრება, რომელმაც დამფუძნებელ კრების კანონის პროექტი მოიწონა. ამავე სხდომაზედ მიწონებულია დრ. მთავრობის დეკლარაცია ომის 3 წლის დათავების გამო.

**სასულიერო პირთა სამხედრო ბეგარაში გაწვევა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 18. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ ის სასულიერო პირნი, რომელთაც 43 წელი არ შესრულებიათ და თავისი ნებით ანებებენ თანამდებობას თავს,—ამიერიდან გაწვეულ იქმნებიან სამხედრო ბეგარის მოსახდელად.

**დროებით მთავრობის მოკავშირეთადმი მიმართვა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 18. ამ დიდი მწუხარების დროს, რომელსაც რუსეთი განიცდის, ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენ თავს, რომ ჩვენი მწუხარების მოზიარე მოკავშირეებს, ომის მომავალზე ჩვენი გადაჭრითი და შეურყეველი შეხედულება ვამცნოთ. რუსეთის რევოლუციის დიად მიზნის ცხოვრებაში სახელმწიფოებრივ გარდაქმნის ღრმად გატარებამ და მტრის თვალის წინ ახალ მთავრობის დამყარებამ შეურყევლად არ ჩაიარა.

მაინც რაკი იცოდა რუსეთმა, რომ სხვა გზა აღარ იყო კვლავ განაგრძობდა მოკავშირეებთან შეთანხმებულ მოქმედებას რუსეთმა იტვირთა მძიმე ტვირთი, რევოლუციონური მიზნისა. ჩვენს შეტევას, რომელიც სტრატეგიულის აუცილებლობით მოხდა, დიდი დაბრკოლებანი გადაეღობა, როგორც ბრძოლის ველზე ისე მის უკან. უპასუხისმგებლო ელემენტების ბოროტმა პროპაგანდამ გამოიწვია.

**დამფუძნებელ კრებისათვის.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 18. დროებით მთავრობამ დაადგინა, რომ დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის დაწესებული დრო უფრო ახლო დანიშნოს. სოფლის საზოგადოების, საგუბერნიო და სამაზრო კომისიებში შეტანილ საჩივრების განხილვა უნდა 4 დღეში მოხდეს, კომისიის მიერ საჩივრების განხილვამდე— 4 დღე და სიების მერედ გამოცხადებიდან არჩევნებამდის 7—14. დღემდე მეტი არ უნდა რჩებოდეს.

## სახელმწიფო სათათბირო დროებით მთავრობის წინააღმდეგ

**პეტროგრადი.** მკათათვის 19. მკათათვის 18-ს თავრიდის სასახლეში, **როძიანკოს** თავმჯდომარეობით სახელმწიფო სათათბიროს წევრებმა კერძო ბჭობა იქონიეს. ბჭობა **როძიანკოს** მოხსენებით დაიწყო. მოხსენება შეეხებოდა სათათბიროს დროებით კომიტეტის განცდილ ამბების გამომოწოდებას. ზოგიერთა ორატორი ფრონტზე და ზურგში დაშლა დარღვევას შეტანაში ბრალს მოძრაობის სათავეში ჩამდგარ პოლიტიკურ პარტიებს სდებდნენ. **მასლენიკოვმა** სთქვა: დამნაშავენი არიან ისეთნი ოცნების მიმდევარნი და ქუჩაზე შემცდარნი, რომელთაც ქვეყნის პოლიტიკის შემოქმედი ჰკონიათ თავიანთი თავი. სახელმწიფო სათათბიროს, რომელმაც აუწყა ქვეყანას რევოლუცია, აედევნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტების სახელით მოღალატეთა და მაწანწალთა ჯგუფი. როძიანკო ორატორს აჩერებდა. მასლენიკოვმა განაცხადა, რომ იგი პასუხს აგებს თავის სიტყვებზე, და განაცხადა: „შემდეგ დაიწყო რუსის ჯარის, მუშების და ხალხის გახრწნა, სულიერი დაცემა. რუსეთის ხსნა მხოლოდ რუსის მცხოვრებლების დიდ უმრავლესობაზე დამყარებულ სახელმწიფო სათათბიროს შეუძლია". მასლენიკოვმა თავის მოხსენებაში დიდი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ თვით სახელმწიფო ტახტის კანონიერი პრეტენდენტი მიხაილ ალექსანდრეს ძე სახელმწიფო სათათბიროს უფლებას ხმას აძლევდა, მხარს უჭერდა, ამიტომ მან თავისი უფლება დროებით მთავრობას გადასცაო. მასლენიკოვს საჭიროდ მიაჩნია სათათბიროს ნამდვილი სხდომის მოწვევა, რომელზედაც სათათბირომ მთავრობას უნდა უჩვენოს თუ რა გზას დაადგეს იგი.

**პურიშკევიჩმა** განაცხადა: სამშობლოს ხსნის რწმენა არ უნდა დაჰკარგოთ. ამიტომ ჰეროსტრატის გზით სიარული არ არის საჭირო. ეხლანდელი მთავრობა კი ამ გზით მიდის. საჭიროა ყოველივე თვითნებობის მოსპობა. უნდა ისჯებოდნენ არა თუ მარტო ბრძოლის ასპარეზიდან გამოქცეულები, არამედ ჯარის კაცთა გადამრევნიც. მთავრობა თავის გვერდით მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების არსებობას არ უნდა ურიგდებოდეს, მათ თავიანთი ალაგი უნდა ვუჩვენოთ"-ო. შემდეგ პურიშკევიჩმა სათითაოდ ჩამოთვალა აღმ. კომიტეტის რამდენიმე წევრი და განაცხადა რომ მათ არც ჯარისკაცებთან და არც მუშებთან საერთო არა აქვთ რაო. აუცილებლად საჭიროა რომ მთავრობა მთავრობად დარჩეს. საჭიროა საბჭოების დათხოვნა. დაე ამოსწყდენ დროებითი მთავრობის კისერზე მახდომი ბნელი ძალები, გაუმარჯოს რუსეთის ერთად ერთ მხსნელ სახელმწიფო საბჭოს.

**როდიჩევმა** განაცხადა, რომ ეხლა პირად ანგარიშების დრო არ არის. საჭიროა ისეთ პირობების გამოძებნა, რომელთა საშუალებითაც ჩვენს ლაშქარში სრული წესიერების შეტანა შეიძლებოდეს. საჭიროა, რომ დამფუძნებელ კრებამდის არავითარი სოციალური რეფორმა არ მივიღოთ. საჭიროა ფინანსიურ კატასტროფის აცდენა. **ბარიშნიკოვმა** განაცხადა, რომ რადიკალ დემოკრატიულ პარტიამ მთავრობაში წარმომადგენლების გაგზავნით, თავის მოვალეობა აასრულაო. იგი სათათბიროს ყველა პარტიებს მთავრობის საშველად მოუწოდებდა.

**მილიუკოვმა** ხალხის თავისუფლების პარტიის პოზიცია განმარტა და სთქვა, რომ კოალიცია ნამდვილი უნდა იყოს, ეხლა კი ასე არ არის. პარტიის აზრით, სამინისტროებში სოლიდარული ჯგუფი უნდა შევიდეს. ეგენი შემთხვევითი პირები არ უნდა იყვნენ. იმ შემთხვევაში, თუ სოციალისტები ხალხის თავისუფლების პარტიის წარმომადგენელთა პროგრამას შეურიგდებიან, მაშინ ეს უკანასკნელნი მოვალედ ჩაირიცხვენ თავიანთ თავს, რომ დარღვევის მომენტში დროებით მთავრობის მუშაობაში მიიღონ მონაწილეობა. ხალხის თავისუფლების პარტია დაჟინებით მოითხოვს, მთავრობამ უარი სთქვას დამფუძნებელ კრების საეგებიონების წინასწარ უწყებაზე, ერიდოს ისეთ ნაბიჯებს რომლებიც კლასთა შორის განხეთქილებას და სამოქალაქო ბრძოლას ჩამოაგდებს. და საგარეო პოლიტიკაში ციმერვალდის პრინციპები არ იქნას გაყვანილი. ლაშქრის ძალის შესაქმნელად ზომები უნდა იქმნას მიღებული.

მილიუკოვმა სთქვა აგრეთვე: მასლენიკოვი სცდება, როდესაც ამბობს, რომ მიხეილ ალექსანდრეს ძემ მთავრობა სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტს გადასცაო.

ნამდვილად კი, მან ხელმწიფობა (власть) დროებით მთავრობას გადასცაო. მილიუკოვის აზრით, სახელმწიფო სათათბიროს, როგორც დაწესებულებას დროებით მთავრობასთან შეთანხმებით (კონტაქტით) შეეძლო არსებობა, სხვანაირად საქმის გაძღოლა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როდესაც დროებითი მთავრობა მთლად დაჰკარგავდა ავტორიტეტს. ბჭობამ მიმართვა მოიწონა. როძიანკომ თავის სიტყვის დასასრულს სთქვა, რომ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის საკითხში იგი იზიარებს მასლენიკოვის აზრს, მაგრამ მილიუკოვსაც ეთანხმება, ვინაიდან ჯერ კიდევ არ დამდგარა ეს ისტორიული მომენტი. დასასრულ როძიანკომ სურვილი გამოსთქვა, რომ წევრების კერძო ბჭობაზე მეტი ხალხი ესწრობოდეს. მან აღუთქვა აგრეთვე დეპუტატების მოსაწვევად, დეპეშებისა და წერილების გაგზავნა, ამასთან მოაგონა ის დადგენილება, რომლის ძალითაც კერძო ბჭობაზე სახელმწიფო სათათბიროს ოთხთავ მოწვევის დეპუტატებსა და სახელმწიფო საბჭოს არჩეულ წევრებსაც შეუძლიან დასწრება.

## ნეკრასოვი კაბინეტის შევსების შესახებ

**პეტროგრადი.** მკათათვის 18. ჟურნალისტებთან საუბრის დროს მინისტრთა თავმჯდომარის მოადგილემ ნეკრასოვმა კაბინეტის შეკრების გამო სხვათა შორის განაცხადა: „საქმე განსაკუთრებით კაბინეტის შევსებას ეხება. მთავრობა მტკიცედ სდგას თავის პროგრამაზე, რომელიც უკვე გამოცხადებულია მის დეკლარაციაში და ამ ნიადაგს იგი აღარ მოსცილდება. მთავრობას [illegible] კარგად ესმის დამფუძნებელ კრების მნიშვნელობა ხალხის თავისუფლების პარტიის შესამჩნევ პირობთან მოლაპარაკებამ ვერავითარი ნაყოფი ვერ მოიტანა. უკანასკნელ წუთში მოსკოვიდან აცნობეს კერენსკის, რომ პარტიის მოსკოველი წევრები მზათ არიან კაბინეტში შესვლის მოსალაპარაკებლად, რისთვისაც იგინი ჩამოვლენ პეტროგრადში მკათათვის 19-შიო. ყოველ შემთხვევაში, დროებითი მთავრობა დღევანდელ შემადგენლობით, ძალა შემოსილია და მან უკვე საბოლოოდ გადასწყვიტა სახალხო ყრილობის მოწვევა მოსკოვში, რომელზედაც განაცხადებს თავის მოღვაწეობის პროგრამას, რომლის ძირითადი საფუძველი უკვე ყველგან ცნობილია. სათათბიროს ოცდა-ხუთ მკათათვისთვის მოიწვევენ და 1 დღე გაგრძელდება. პეტროგრადის მღელვარება და ამბოხება ამავე დროს, რუსის ჯარის-კაცებმა ამავე აგენტების წყალობით დაივიწყეს თავისი მოვალეობა და გაუხსნეს გზა მოპირდაპირეს. რუსეთის ხალხმა ამ რყევის ხანაში გამოიჩინა დიდი ნებისყოფა დროებით მთავრობის სახით. ამბოხება ჩანელდა დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემულნი. ასპარეზზე ყოველივე ღონისძიება არის ნახმარი ჯარის ძალთა აღსადგენად. მთავრობას განზრახვა აქვს, ძალთა გამაგრების მუშაობა ბოლომდე მიიყვანოს და ქვეყანა რევოლუციონურ განახლების გზაზედ გამოიყვანოს.

რუსეთი მტკიცე გადაწყვეტილებით ადგია იმ გზას, ... თავის იდეალების განმარტვამდე, რევოლუციის დღესასწაულობამდე. რუსეთი არავითარ დაბრკოლებას წინაშე არ დაიხევს უკან და ახალის მხნეობით შეეგებება მტრის მუქარას. ქვეყანა და ლაშქარი მოასრულებენ გარდაქმნის დიდს მუშაობას და გადაივლიან რა ომის მე-4-ე წელში ყველა საჭირო ძალას მოამზადებენ ომის გამაგრებისთვის ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სამშობლოს დაცვის წმინდა საქმეში ყველა მოქალაქეთა ძალა შეერთდება ერთად, რომ საერთო ენტუზიაზმი ყოველს თავის ძალ-ღონეს იხმარს მტრის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ ამ ომის შედეგიდან გამომდინარეობს ჩვენი და კაცობრიობის თავისუფლება. რუსეთის ახალმა განსაცდელმა გაამაგრეს მხოლოდ ხალხის შეგნება, რათა ყოველივე შესწიროს სამშობლოს კეთილდღეობას. ამ შეგნებით გაძლიერებულნი, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დროებითი უკან დახევა ხელს არ შეუშლის რუსეთს, რათა მან, განახლებულმა და აღფრთოვანებულმა საჭირო დროს გაიწიოს სამშობლოს და თავისუფლების დასაცველად და გამარჯვებით შეასრულოს დიდებული საქმე, რისთვისაც იგინი იძულებულნი არიან იბრძოლონ.

# სარევოლუციო დიქტატურა

**საზღვაო სამინისტროს გამგემ კრონშტადტში მეზღვაურებს სიტყვით მიმართა**

**პეტროგრადი.** მკათათვის 17. საზღვაო სამინისტროს გამგე ლებედევმა გუშინ კრონშტადტი ინახულა. მას პეტროგრადის ამბებით გამოწვეულ საქმის ვითარების გაცნობა ჰსურდა. ლებედევმა ინახულა გემების მეზღვაურნი და სხვათა შორის უთხრა: „თქვენ რევოლიუციონური დემოკრატია პეტროგრადში მომხდარ ამბების პასუხისმგებლად ყველას არა გთვლით. მე დარწმუნებული ვარ რომ მეამბოხე მეზღვაურებმა ეხლა კი შეიგნეს, რომ დიდი დანაშაულია რევოლიუციონურ დემოკრატიის უმრავლესობის წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსვლა. მე მეზღვაური არა ვარ, მაგრამ კარგად ვიცი, თუ რა თავისუფალი სულით აღფრთოვანებაა იმ მეზღვაურთა, რომელთაც ჩემთან ერთად აატყიალეს შავი ზღვის ფლოტზე ძველი მთავრობის საწინააღმდეგო დროშა. მე მათ საზღვარ გარეთაც არ დავივიწყებ, სადაც რუსეთის თავისუფლებისთვის ჩემს მოწოდებას ყველა გრძნობით ეგებებოდა. მე მსურს აქედან იმ რწმენით წავიდე, რომ თქვენ აქ რევოლიუციის ღირსეულ შვილებად გეგულებდეთო". ალაგ-ალაგ მეზღვაურები აწყვეტინებდნენ. „ვინაა ჩვენი შინაური მტერი", „კიდევ დიდხანს ვიომებთ?" ლებედევმა მათ უპასუხა, რომ შინაური მტერია ყველა რევოლიუციის ძირის მთხრელი, ჩვენ ლაშქრის ძალის შემსუსტებელი და ჰინდენბურგის ჯარისათვის ასპარეზის დამთმობიო. დასასრულ ლებედევმა იმედი გამოსთქვა, რომ თუ ვილჰელმი რევოლიუციის ავანგარდს, ჩვენს ფლოტს შემოუტევს, მე მრწამს, რომ ჩვენი მეზღვაურები საგმირო წინააღმდეგობას გაუწევენო. ლებედევს მეზღვაურებმა ოვაციები გაუმართეს. ლებედევმა თავის გამოსვლით პეტროგრადისა და კრონშტადტის რევოლიუციონურ ძალებში მტკიცე ერთობა შეიტანა.

**ბინის საკითხის პროექტი**

**პეტროგრადი.** მკათათვის 17. იუსტიციის მინისტრ ეფრემოვმა მთავრობას ბინის საკითხის პროექტი წარუდგინა. მთავრობამ დაადგინა, რომ შრომის ინსპექციის შექმნამდის და შრომის სამინისტროს ადგილობრივ ორგანოების დაარსებამდის, მინისტრს შრომის ადგილობრივ კომისართა დანიშვნის უფლება მიეცეს. კომისრებმა თვალყური უნდა ადევნონ შრომის დაცვის კანონს, მუშათა დაზღვევას, შემარიგებელ კამერების ორგანიზაციას და შრომის ბირჟებს. კომისართან შესდგება აგრეთვე ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან კომისიები. ამ დადგენილებას სენატორი გამოაქვეყნებს.

**ძველ რევოლუციონერთა ჯგუფის მოწოდება.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 17. ძველ რევოლუციონერების ჯგუფმა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას, დეიჩს, ლუკაშევიჩს, პლეხანოვს, ფიგნერს ჩაიკოვსკის და მრავალ სხვებს რუსეთის მოქალაქეთადმი მიმართულ მოწოდებაზე ხელის მოსაწერად მიმართეს. მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: რევოლიუციისა და სამშობლოს სახსნელად დეპუტატთა საბჭომ დროებით მთავრობას განსაკუთრებითი რწმუნობულობა მიაკუთვნა. დღეიდან ომის დათავებამდის, დამფუძნებელ კრების მოწვევამდის, მთავრობა რუსეთის ერთად-ერთ მომწყობად და მმართველად ჩაითვლება. ამისთვის ყოველი მოქალაქე, თუ ორგანიზაცია ყოვლის უმიზეზოთ უნდა მთავრობას ჰმორჩილებდეს. **რევოლიუციასა და სამშობლოს საფრთხე ელის და ეხლა პარტიული ბრძოლის დრო არ არის. შეერთდით სამშობლოს სახსნელად.**

**სასურსათო საქმეთა მინისტრი ხალხში.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 18. სასურსათო საქმეთა მინისტრი პეშეხონოვი სასურსათო კომიტეტებისადმი ბრძანებაში კომისრებს სამშობლოსა და რევოლიუციის სახსნელად ხალხის უკანონო და თავნებობით მოქმედებათა მოსასპობად შესაფერ ზომების მიღებას სთხოვს. იგი დასძენს, რომ მიწის მტაცებლობა მოსავალსაც არ შეუწყობს ხელს, ეს კი სამშობლოს განსაცდელში ჩააგდებსო.

**ტომსკის გუბერნიის დაყოფა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 19. „დროებით მთავრობის მოამბეში" გამოქვეყნებულია დრ. მთავრობის დადგენილება ტომსკის გუბერნიის 4 მაზრად დაყოფის შესახებ. ამიერიდან იგივე დაიყოფა—ტომსკის და ალტაილის გუბერნიებად,

**ჯარში გაწვეულ ექიმებისათვის ძველი თანამდებობის შენარჩუნება.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 17. მთავარ სამხედრო სანიტარულ გამგეობამ დაადგინა, რომ სამსახურში გაწვეულ ექიმებისა და საექიმო დაწესებულებების მასწავლებელთათვის თანამდებობის შენარჩუნება იმ დაწესებულებების საბჭოზე იქნება დამოკიდებული, რომელშიც ისინი მსახურობდნენ.

## მინისტრ წერეთლის ბრძანება კომისრებისადმი

**პეტროგრადი.** მკათათვის 17. საგუბერნიო, საოლქო და საქალაქო კომისრებს. მოღალატურათ ჩაცემულ მახვილმა რუსეთში აღშფოთება გამოიწვია. კონტრ-რევოლუციამ იმ იმედით წამოყო თავი, რომ რევოლუციით მოპოვებული თავისუფლება გამოგლიჯნა ჩვენთვის. ანარქიამ ფრონტზედაც იჩინა თავი. დროებითი მთავრობა ყოველივე ზომებს მიიღებს მოსალოდნელ საფრთხეს ასაცილებლად. თქვენ, როგორც რევოლუციონური მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლები ყოველის თქვენი ძალ-ღონით უნდა ეცადოთ, რომ ასეთ საშიშარ მომენტში მთავრობის ყველა დადგენილებანი ცხოვრებაში გაატაროთ. ამასთან თქვენი ვალია რევოლუციონურ მთავრობის ნდობის მოპოვება ხალხში. თქვენ უფლებაც გაქვთ და მოვალეობაც, რომ ყველა თქვენი განკარგულების სისრულეში მოყვანა მოითხოვოთ. ყველა თქვენს განკარგულებას უნდა დაემორჩილოს. თქვენი ვალია მოუწოდოთ ყველა ადგილობრივ საზოგადო, სარევოლუციო და დემოკრატიულ ორგანიზაციებს დროებით მთავრობის მიერ მკათათვის 9-ს გამოცემულ დეკლარა-

ციის ნიადაგზე შესათანხმებლად და გასაერთიანებლად. საჭიროა საზოგადო და სამეურნეო ცხოვრების მოსაწყობად ამ ორგანიზაციების ცდა დაკვირვებით და შემოქმედებითი ინიციატივით ფართოდ ისარგებლოთ. თქვენი ვალია ყოველივე ანარქიული ჩანასახის მოსპობა. თქვენ უნდა დარაჯად იდგეთ, რომ მიწის დატაცება, თუ თავნებობით დაყოფა არ სწარმოებდეს. თქვენი ვალია, რომ სამოქალაქო ომის ყოველივე მოწოდება თუ სამხედრო მოვალეობის დარღვევა ხალხში არ ვრცელდებოდეს. უნდა გახსოვდეთ აგრეთვე კონტრ-რევოლუციონური ელემენტები მთავრობის წარმომადგენელთა და დემოკრატიის შორის უთანხმოების ჩამოგდებას ცდილობენ. როგორც მთავრობის წარმომადგენლები, რომელთაც მიზნად დაგისახავთ ქვეყნის დაცვა და რევოლუციის ხსნა, თქვენ, ანარქიასთან ბრძოლის გარდა, უნდა შეაჩეროთ რევოლუციონური გამოსვლა, იმოქმედოთ ხალხის ძალებთან თანხმობით თქვენ უნდა აღასრულოთ თქვენი მოვალეობანი თავისუფლების საქმისთვის თავდადებულთა შემწეობით.

იცავთ რა რევოლუციონურ წესრიგს და მოპოვებულს თავისუფლებას, თქვენ ყოველი ღონისძიება უნდა მიიღოთ მთავრობის გადაწყვეტილების განსახორციელებლად დამფუძნებელ კრების ენკენისთვის 30-ს მოწვევისთვის. ამისთვის თქვენ უნდა თვალყური ადევნოთ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებში დამფუძნებელ კრებისთვის მუშაობა-სამზადისს. რევოლუცია საფრთხეშია. ქვეყანა განიცდის დიდს განსაცდელს და რევოლუციონურ რუსეთის სახსნელად საჭიროა განსაკუთრებითი ცოცხალ ძალთა დაძაბვა, თვითეულის თავის დადება ხალხის ინტერესებისათვის და თავგანწირული აღსრულება თავის მოვალეობისა. ამ აზრით უნდა გაიმსჭვალონ ყველა მოქალაქენი და რევოლუციურ მთავრობას ყველა წარმომადგენელნი. დაუყოვნებლივ აცნობეთ ხალხს მთავრობის სურვილი.

შინაგან საქ. სამინისტროს გამგე **წერეთელი.**

# სოფლის ანარქია და მინისტრი წერეთელი

**პეტროგრადი.** მკათათვის 17. ცნობები მოგვდის, რომ აქა იქ მხოვრებნი მეტად თავისუფლად იქცევიან, ისაკუთრებენ მიწებს, სხვისას ჰხნავენ, სთესავენ, იტაცებენ საქონელს, ღუპება მათ ხელში კულტურული მეურნეობა, სჩეხავენ ტყეებს, იტაცებენ გასაგზავნად გამზადებულ ტყის მასალას და იპარავენ შეშას. ასეთ პირობებში ბევრს მინდვრები დაუხვნელი და დაუთესავი ჰრჩება. ეს ჯანს და თვით რუსეთს დიდ საფრთხეს უმზადებს. რევოლუციონური რუსეთი ეხლა ისეთ პირობებშია, რომ მას მთელი სამეურნეო ძალების დიდი ამოქმედება ესაჭიროება. თავის ნებით მიწების დატაცება თუ დაყოფა ანარქია შეაქვს სადგილ-მამულო საქმეებში. იგი საკვებს ამცირებს და რუსეთის სიმშილს უმზადებს. ასევე უნდა ითქვას ტყეების მჩეხველთა და დამსაკუთრებლებზე. ისინი თავიანთ მოქმედებით ფაბრიკა ქარხნებს გასათბობ მასალას უმცირებენ. ასე რომ მთელი სამეურნეო ცხოვრება შეფერხდება, მით უმეტეს, რომ ფაბრიკა-ქარხნები რკინის გზების და მცხოვრებლების საჭიროებათათვის მუშაობენ. დროებითი მთავრობა, ჰგრძნობს რა თავის პასუხისმგებლობას რევოლუციის წინაშე, სოფლისა და ტყის მეურნეობის ასეთს უწესოებას ვერ შეურიგდება. მკათათვის 12-ის კანონით მან უკვე მიიღო ზომები, რომ მთელი მიწის ფონდი დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ხელ უხლებლივ შენახულიყო. ადგილობრივ კომიტეტების და გლეხთა ყრილობების მიწის თავის ნებაზე დაყოფის შესახებ დადგენილებები მიუღებლად უნდა იქნას ცნობილი. ეს მცხოვრებლებმა უნდა ეუწყოთ. ასეთი დადგენილებები მხოლოდ ზიანს მოუტანენ როგორც რევოლუციას, ისე მეურნეობას. მათვე შეუძლიანთ შინაური ამბოხება გამოიწვიოს და მემამულეები მთლად უმოსავლოდ დასტოვოს. ასეთი საქმეების გამოკვლევა თანახმად მარტის 11 კანონისა და სასურსათო საქმეთა მინისტრის აპრილის 30 გამოცემულ ინსტრუქციისა სასურსათო კომ. უნდა ევალებოდეს. სხვა კომიტეტებს უფლება არა აქვთ მინდვრების დათესვის საქმეში ჩაერივნენ. მათი ყოველივე დადგენილება ხალხისათვის აუცილებელი არ არის. მიწის დასაკუთრებისთვის ყოველივე მოწოდება კანონით აკრძალულია და

უნდა იდევნებოდეს. ადგილობრივ გუბერნიების სადგილ-მამულო და აგრეთვე სამაზრო და სოფლის საზოგადოების კომიტეტები დროებითი მთავრობის აპრილის 21-ში მიღებულ დადგენილების და მიწადმოქმედების მინისტრისგან მკათათვის 16-ს გამოცემულ ინსტრუქციის თანახმად უნდა მოქმედებდნენ. ამასთან არც თუ ამ კომიტეტებს აქვთ უფლება, რომ სხვა ორგანიზაციების კანონიერ კომპეტენციებში ჩაერიონ. საჭიროა ჩქარი და გადამწყვეტი ზომების მიღება ყოველივე თვითნებობის მოსასპობად. ეს იხსნის რუსეთს მოსალოდნელ საფრთხესაგან. ეს ზომები კი ჩვენ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. მოგიწოდებთ ისარგებლოთ ადგილობრივ რევოლუციონურ ძალების დაკვირვება გამოცდილებით, რჩევით, მხარის დაჭერით და ნაჩვენებ ზომების განხორციელებას შეუდგეთ.

ეს ცირკულიარი სასურსათო საქმეთა და მიწადმოქმედების მინისტრების სრული თანხმობით გამოიცა. ისინი თავიანთ საუწყებო ორგანებს ამის შესახებ შესაფერ ჩვენებას დაუგზავნიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველი **წერეთელი.**

# ეროვნული საკითხი

**სრ.-დ რუსეთის მაჰმადიანთა ყრილობა**

**ყაზანი.** მკათათვის 18. დაიწყო სრ.-დ რუსეთის მაჰმადიანთა ყრილობა. იგი გახსნილია თანახმად მთავარსარდლის ჩვენებისა. მონაწილეობს 200 დელეგატი, თავმჯდომარემ საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ ყრილობა იმუშავებს არა მარტო ეროვნულ საკითხებზედ, არამედ რუსეთის დაცვის საქმისთვისაც. აქვე გაიხსნა სრ.-დ რუსეთის სამღვდელოების ყრილობა.

**უკრაინის ცენტრალ სეკრეტარიატის დებულება**

**კიევი.** მკათათვის 18. ცენტრალ რადის კომიტეტმა მიიღო ცენტრალი სეკრეტარიატის დებულება, რომელიც წარედგინება დრ. მთავრობას დასამტკიცებლად.

# რუსეთი და უცხოეთი

**ჩინეთის მდგომარეობა.**

**პეკინი.** მკათათვის 15. დათხოვნილ პარლამენტის რამოდენიმე დეპუტატებმა თხოვნით მიჰმართეს დიპლომატიურ კორპუსს, მხარი დაუჭიროს დროებით კონსტიტუციის აღდგენას და პრეზიდენტ ლიუნ ხუნის უფლებას.

**ცეცხლის გაჩენა.**

**მოსკოვი.** მკათათვის 17. აღმოსავლეთ საზოგადოების სავაჭრო საწყობების ცეცხლი გრძელდებოდა 62 საათი; ზარალი 5 მილიონ მანეთზე მეტია.

**ცეცხლი იალტაში.**

**იალტა.** მკათათვის 17. ღამით, ქალაქის შუაგულში, ბაზართან დიდი ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლმა სრულიად გაანადგურა სავაჭრო უბანი. ზარალი 2 მილიონ მანეთისაა. ცეცხლის მოდებას ხელი შეუწყო ცეცხლის ჩამქრობ რაზმის დეზორგანიზაციამ.

**მაკარიის ბაზრობა.**

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** მკათათვის 18. ბაზრობა უკვე დაიწყო, გაიხსნა რამდენიმე მაღაზია, ყვავილებით მოვაჭრეთა, საგალანტერიო, პარფიუმერიისა და სურათებით. ქუჩებში ბაზრის სიცარიელეა. მყიდველ-გამყიდველთა რიცხვი მეტად მცირე და უმნიშვნელოა. ელოდებიან სპარსულ საქონელს და ციმბირის და ადგილობრივ ბეწვეულს. უმთავრეს სახლში მოხსნილია მაღაზია ინგლისურ, ფრანგულ და სხ. ნხარეთა ნიმუშებისათვის.

# რუსეთის სახელმწიფო და ერები

მტარვალმა სული განუტევა 2 მარტს 1917 წელს და ამ დღიდან იღება კარი ახალი ხანისა: განახლების, გაღვიძებისა. თებერვლის მიწურულში იწყება საშინელი ნგრევა დაფუტუროებულ სახელმწიფოს საძირკვლებისა. ცეცხლის ალი და წითელი სტიქია—დაუზოგავად ანადგურებს ყოველივე სიმახინჯეს და ყველაფერს, რაც წინ ეღობება. ამ საზეიმო განადგურებაში ადამიანი ბევრ რასმე ჰპოულობს და ეგუება ამა თუ იმ ფერადობას.

რუსეთის რევოლუცია რომ ფერადია, ამაში იქვის შეტანაც-კი ზედმეტია და აი სწორეთ ეს ფერადი მოვლენა გვაინტერესებს ჩვენ. რუსეთის იმპერიის შემადგენლობა გეოგრაფიულად, ეთნოგრაფიულად, რასობრივად და კულტურულად—მეტად ჭრელია და სწორედ ამ სიჭრელეს შეაქვს ახალი ფერადები და ზოგადი დისონანსები რუსეთის სახელმწიფოებრივს სახეში. მიზანი რევოლუციისა სახელმწიფოს ამა თუ იმ ადგილებში სხვა და სხვა ნაირია და ამიტომაცაა, რომ ჯერ რევოლუციამ ვერ გამოჰხატა ერთგვარი ფიგურა.

ძველი აგრეგაციის ცემენტი რევოლუციის ალმა გაადნო და ალაგი მისცა დეზაგრეგაციას (დაცალკევებას), რომლის შეჩერებას ცდილობს დღევანდელი დროებითი მთავრობა. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ დროებით მთავრობას ძველი ცემენტის ხელახლავ შედუღების ცდა ტყვილად ჩაუვლის იმ გზით და იმ საშვალებით, რა გზითაც და რა საშუალებითაც ის ცდილობს.

როდესაც უკრაინას, ლიტვას, ფინლიანდიას, საქართველოს და სხვებს ეუბნებიან: „დაიცადეთ, ჩვენ უფლება არ გვაქვს თქვენი სურვილი დავადასტუროთ სანამ დამფუძნებელი კრება არ გადაწყვეტს რუსეთის მომავალ ფორმასო“.—ასეთი პასუხი და მასთან შეთანხმებული მოქმედება დროებითი მთავრობისა ვერ ეგუება დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნილებას, და ამიტომაცაა, რომ უკრაინა, პოლშა და ფინლიანდია თავიანთ მიზანს რევოლუციისას განკერძოებულად ემსახურებიან. ბევრს ჯავრიც კი მოსდით და გაიძახიან „უფლება არ აქვთ დაუკითხავად დამფუძნებელ კრებისათვის სურვილებს გაჰყვნენო“, ერებს კი გულის-წყრომა ებადებათ და გაიძახიან საქვეყნოდ „ჩვენ სრული უფლება გვაქვს, შეგნებაც და ძალაც შეგვწევს ჩვენი ბედი ჩვენვე განვაგოთო“. განა მარტო განცხადებებით დაკმაყოფილდნენ? პირიქით ვინც მეტი განვითარებული აღმოჩნდა კულტურულად და შეგნებით, უკვე განხორციელებას შეუდგნენ თავიანთი სურვილების და თავიანთი შინაური საქმე მოაგვარეს კიდეც. დროებითი მთავრობის პრეტენზიები გაუგებარია და ძალა-უნებურად ადამიანს კითხვა ებადება: რათ უნდა ჰქონდეს უფლება მხოლოდ ველიკოროსებს უკრაინის ბედ-იღბლის საკითხში და მეორეს კი არა პირველისაში? თუ დღევანდელი რევოლუცია დაფუძნებულია ერებთა თავისუფლებაზედ, მაშინ ეს თავისუფლება და უფლება თანასწორი უნდა იყვეს ყველასათვის, და თუ რომელიმე ერთიანად ირღვევა, მაშინ ხომ დავშორებულვართ ამ დიად პრინციპს!.. რუსეთში 160 მილიონ მეტი თუ ნაკლები მცხოვრებია. ამათში ველიკოროსები 80 მილიონს შეადგენენ, დანარჩენები კი სხვა ეროვნებისანი არიან. უბრალო ლოღიკური დასკვნა გვასწავლის, რომ დამფუძნებელ კრებაზე დიდი უმრავლესობა არ შესწირავს თავის საკუთარ ინტერესებს ველიკოროსულ ცენტრალისტურ ლტოლვილებას. რუსეთის სახელმწიფოში, რევოლუცია არ მოუხდენია მხოლოთ და მხოლოთ ერთს რომელიმე ეროვნებას, რომელსაც ამ მხრივ უპირატესობის პატენტი აქვს სხვებზე და შემდგომ ქველმოქმედი გახდომოდა მათ! რუსეთში რევოლუცია არა რუსულია და არც ერთი მიზანი აქვს, როგორც 1905 წ. იყო ერთ მიზნიანი და მიმართული—მხოლოდ და მხოლოდ თვითმპყრობელ მტარვალისადმი. ყველასათვის ცხადია, (მართალია გამონაკლისიც არიან) რომ ეს რევოლუცია ერებთა რევოლუციაა და არავის არ უნდა უკვირდეს, რომ მიზნები, ზრახვანი და გულის ნადები თითოეულ ერისა სხვადასხვანაირია. აი სად არის მიზეზი, რომ რევოლუციის მედროშეებს ვერ მოუხერხებიათ მაგარი ხელმწიფება (сильная власть) დაამყარონ. სხვა არა იყოს რა, კრონშტადტის რესპუბლიკა რათა ღირს საილლუსტრაციოთ, სადაც დროებით მთავრობას თავისი მძაფრი ნების ყოფა ვერ დაუმკვიდრებია. კერენსკის, ზოგმა ბონაპარტეს აჩრდილიც-კი დასწამეს, მხოლოდ თუ მის დახასიათებასთან გვექნება საქმე უფრო რელიგიოზურ სოციალისტის ეპიტეტი შეჰფერის, ვიდრე კორსიკელი ნაპოლეონის სახელი. ან განა რუსეთში ასეთი მოვლენა შესაძლებელია! რუსეთში ასეთი მძლავრი პიროვნების შექმნას ნიადაგი არა აქვს.

სხვა საქმე იყო საფრანგეთში: იქ ხალხი ერთ მთლიან ეროვნებას შეადგენდა, და ერთი გულის ფეთქა ჰქონდათ ერთ კულტურისაგან აღზრდილებს. მით უმეტეს, რომ ფრანგი მთლად ტემპერამენტია, და გასაკვირი არ არის საფრანგეთს მძლავრი პერსონალური დიქტატორი წარმოეშვა. რუსეთში კი, სადაც ათასი ჯურის ხალხი თავს იყრის სხვა და სხვა ისტორიული წარსულით, შეუძლებელია, რომ პერსონალური დიქტატორი წარმოიშვას და არც თუ კოლექტიური მოსახერხებელია, როგორაც ზოგ პარტიის ოცნებას შეადგენს. კიდეც რომ მოხდეს ეს, მაშინ რუსეთი ახალ მშობიარობის უმწვავეს ტკივილებს იგრძნობს, და რუსეთი სისხლის მორევათ გადაიქცევა, ცეცხლის და მახვილის ბუდეთ. და ეს კი რუსეთს არა მარტო დარღვევამდი მიიყვანს, პირიქით დაასამარებს კიდევაც. დიქტატორს არ შეუძლია ერთგვარი აღფრთოვანება გამოიწვიოს რუსეთის სახელმწიფოში და ის გმობილი იქნება ამა თუ იმ ერისაგან, რომელიც ვერ შეეგუება მის მეუფებას.

ჩვენი ღრმა რწმენით და შეგნებით თუ კი მოისურვებენ, რუსეთში საერთო ენა, საერთო ინტერესების პლატფორმა მოიპოვება. და რუსეთის იმპერიის პრესტიჟის გადარჩენაც შეიძლება, რასაც ასე თავგადადებით იცავენ სოციალისტთა მინისტრები. აი ამ მხრივ ჩვენი მოსაზრებანი: ახლანდელ რეჟიმ მოთხოვნილებას ცენტრალიზმი არ ეგუება. ამას მოწმობენ ჯერ დეკლარაციები დიდი სახელმწიფოებისა, შემდგომ ამისა თვით ცხოვრება გვიხატავს იმ გზას რა გზითაც უნდა ვიაროთ, და არ გაყოლაც შეუძლებელი ხდება. ამას გვიმტკიცებს რუსეთის სახელმწიფოს შინაგანი კონფლიქტი. დროებითმა მთავრობამ უნდა ამ თავითვე ღიად აღიაროს სახელმწიფოს სრული დეცენტრალიზაცია და მის განხორციელებასაც უნდა შეუდგეს, არა თუ ამაოთ სცდილობდეს ძველის გზით თავის დაღწევას განსაცდელისაგან.

წერეთლის დამუქრება ფინლიანდიის მიმართ არსებით არ განირჩევა ძველი რეჟიმის მუქარებისაგან. ფინანსიური საქმის მოწყობა რომელიმე ერთბაშ ძალდატანებით კი არ მოხერხდება, არამედ ღრმა ანგარიშით და სამართლიანი მოქმედებით. რუსეთის ფინანსიური ხსნა სულ მოკლე ფორმულით მოხერხდება: კრედიტის ბილეთების ნომინალურ ფასების განახევრება*) და მათი შეცვლა ახალ კრედიტის ბილეთებზე. ახალ რუსეთს განახლებული კრედიტის ბილეთებიც მეტად დაშვენდება!.. დროებითმა მთავრობამ უნდა შეასრულოს რუსეთის სახელმწიფოში მომრიგებელ-შუამავალის როლი ეროვნებათა შორის, როდესაც მოხდება შეხლა-შემოხლა ტერიტორიალური განსაზღვრის დროს. მან უნდა ეცადოს სახელმწიფოს სასარგებლოთ ერთგვარი თანაბრობა ძალისა დაიცვას და ამ რიგათ უნდა აღსარებულ იქმნას მომავალ რუსეთის ახალ ფუძეთ, სახელმწიფოებათა კონფედერაცია რომლის კონპეტენციას უნდა შეადგენდეს, მხოლოთ და მხოლოთ ომის და ზავის საქმენი და ურთიერთ მორიგების საქმენი დანარჩენ სახელმწიფოებრივს საკითხებს თვითეული ერი თავისი ეკონომიურ და კულტურულ სხვა და სხვა მოთხოვნილებათა მიხედვით თითონ გადაწყვეტს. ჩვენ ვგონებთ, რომ ჩვენი მოსაზრებანი უფრო ახლოა რეალობაზე, ვიდრე სხვა ფორმულები, რომელთაც დაჟინებით მოითხოვენ სხვა და სხვა პარტიები. მაქსიმუმი განვითარება და თავისუფლება ერებისა რუსეთის სახელმწიფოში მხოლოთ ამ გზით შეიძლება მიღწეულ იქნას.

**მ. ზექაია.**

# ვარლამ ჩერქეზიშვილი

ამ ჟამად თბილისში იმყოფება ცნობილი ანარქისტი ქართველი საზოგადო მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც აქამდე ინგლისში სცხოვრობდა. მხცოვანი მოღვაწე გუშინ ჩვენს რედაქციას ეწვია და ხანგრძლივი საუბარი იქონია რედაქციის წევრებთან ქართულ საკითხის შესახებ.

ვარლამ ჩერქეზიშვილი აპირებს ამ საკითხის შესახებ ლექციათა მთელი რიგის წაკითხვას.

*) ეს ზომა შინაური უნდა გახდეს და რაც შეეხება საგარეო ფინანსიურ განწყობილებას ის ხელუხლებელი უნდა დარჩეს. ამას გარდა ეს ზომა სამართლიანია; ყველა თანასწორათ გაიღებს მსხვერპლს და არ განადგურდება არც წარმოება და არც აღებ-მიცემობისა, რომელიც უმთავრეს ნერვს შეადგენს ერისას. **ავტ.**

# ქრონიკა

## თბილისი

✦ **ბარათებით პურის მიღების გამო.** მკათათვის 18-ს ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციას თათბირი ჰქონდა ბარათებით პურის მიღების შესახებ და დაადგინა: 1) ფიზიკურად მომუშავეებს გადაწყვეტილ ნორმაზე მეტი პური მიეცეთ; 2) დამატებითი ნორმის რაოდენობა განსახილველად წარედგინოს ქალაქის სასურსათო კომიტეტს; 3) ვის რა წონის პური უნდა მიეცეს, ამისი შემუშავება დაევალოს კომისიას, რომელშიაც წევრებად შედიან გოგიბერიძე, ელენტი და ტერიმანი. აგრეთვე სექციამ სასურველად სცნო 6 საათის სამუშაო დროს დაწესება კვირა-უქმეების წინა დღეს. ამ პროექტის განსახორციელებლად შესდგა კომისია, რომელშიაც წევრებად უნდა შევიდნენ: 3 კაცი ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის მხრივ, 3 კაცი პროფესიონალ კავშირის მხრივ და 6 კაცი მწარმოებელთა საზოგადოების მხრივ. მუშათა სექციის მხრივ კომისიაში უკვე აირჩიეს გ. მახარაძე, ლემანი და შათირიშვილი, სექციამ აგრეთვე სასურველად სცნო, რომ ყოველივე დავა მუშა-მოსამსახურეთა და საქმის პატრონთა შორის ატეხილი გადასწყვიტოს მომრიგებელმა კამერამ, მაგრამ იმ პირობით, რომ კამერის გადაწყვეტილება ორივე მხრისათვის სავალდებულო იყოს.

✦ **არჩევნების გაუქმება.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა არ დაამტკიცა არჩევნები ქალაქის სასურსათო გამგეობის წევრებისა. ახალი არჩევნები ჩქარა მოხდება.

✦ **საფუთო ბაჟი.** თბილისის ქალაქის მოურავმა ცნობა მიიღო პეტროგრადიდან, რომ შუამდგომლობა ქალაქის თვითმართველობისა საფუთო ბაჟის დაწესების შესახებ შემოსატან და გასატან საქონელზე მთავრობამ დაამტკიცა. საფუთო ბაჟი, ქალაქის გამგეობის ანგარიშით, 100 ათას მანეთამდე მოუმატებს თბილისს შემოსავალს.

✦ **აგრონომი გ. დალაქიშვილი და სპარსელი ვაჭრები.** მკათათვის 19-ს მილიციის უფროსმა შეატყობინა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, რომ თათრის მოედანზე რამდენიმე დუქანში ნამალევი საქონელი აღმოჩნდა. მოედანზე მივიდა კომიტეტის წევრი გ. დალაქიშვილი და ნახა, რომ მართლაც მოვაჭრე სპარსელებს გადაემალათ ცოტაოდენი საქონელი (საპონი, ბრინჯი და სხ.). დალაქიშვილმა ვაჭარი სპარსელები შეჰკრიბა ჯერ ხალათისა და მერმეთ ბერძნების ქარვასლაში და აუხსნა მათ, თუ რა ცუდი შედეგი მოჰყვება საზოგადოდ და კერძოდ მათთვისაც საქონლის დამალვას. კრებას სპარსეთის კონსულიც დაესწრო. მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დალაქიშვილის ლაპარაკმა და აღუთქვეს მას, რომ მეჩეთში შევიკრიბებით, თავ კაცებს ავირჩევთ და ვეცდებით ეს საკითხი სასურველად მოვაწესრიგოთო.

✦ **ღვინის გაჭრობის** მოსაწესრიგებელ სავალდებულო დადგენილების პროექტი ამიერ კავკასიის მევენახემეღვინეთა საბჭოს თავმჯდომარემ ვას. რცხილაძემ მკათათვის 19-ს დასამტკიცებლათ წარუდგინა დროებითი მთავრობის კომისარიატს. პროექტი ამ დღეებში დამტკიცდება და ღვინის ვაჭრობის აკრძალვას რამოდენიმედ ბოლო მოეღება.

✦ **ხურხათი.** მკათათვის 20-ს საგუბერნიო კომიტეტის სახელზე მოვიდა 8 ვაგ. ფქვილი.

✦ **თბილისის მეეზოვეთა** მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა მემამულეებისაგან. მკათათვის 19-ს მეეზოვეებს კრება ჰქონდათ და გადასწყვიტეს მუშაობა განაახლონ.

✦ **ბ-ნი აგარონიანი,** მესამე უბნის მილიციის კომისარი თანამდებობიდან გადაყენებულია.

✦ **ჯარის კაცთა უსასყიდლო სამკითხველო.** მკათათვის 19-ს თბილისის საოლქო არტილერიის საწყობში ჯარის კაცთა უსასყიდლო სამკითხველო. ადმინისტრაცია სამკითხველოსი სთხოვს მოქალაქეთ დაეხმარონ სამკითხველოს წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით.

✦ **გენერალ გ. ს. ხიმშიაშვილის დაკრძალვა.** მკათათვის 20-ს დაკრძალეს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილი ხნიერი მებრძოლი გენერალი გ. ს. ხიმშიაშვილი. წირვა და წესის აგება მოხდა ქვაშვეთის ეკლესიაში. დიდძალი საზოგადოება დაესწრო და აგრეთვე მხედრობის რაზმი ერთი ბატარეით. ცხედარი მიწას მიაბარეს ვერაზე იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის გალავანში.

✦ **ქალაქის არჩევნების გარშემო.** ბევრს ამომრჩეველს სრულებით არ მისვლია საარჩევნო პაკეტები, ზოგს მიუვიდა მხოლოდ არჩევნებზე დასასწრები ბილეთი არ მისვლია, ზოგს კიდევ გახეული პაკეტი მიუვიდა ზოგს კი სუფთა, მაგრამ ქალაქის ბეჭედ დაუკვრელი. ამ ამბავმა საარჩევნო კომიტეტამდისინაც მიაღწია და კომიტეტმა კომისია აირჩია ხმების შესამოწმებლად და ღონისძიების მისაღებად ამ კომისიაში წევრებად შედიან ა. ლომთათიძე, ერაძე და ბოგუცკი. საარჩევნო კომიტეტი 25,000 მანეთს სთხოვს ქალაქის საბჭოს ახალ ხარჯების დასაფარავად. ქალაქის მე-5 უბანში, სადაც მუსულმანები სცხოვრობენ, არჩევნები ორ ადგილას მოხდება, ერთ ადგილას მამაკაცთათვის და მეორე ადგილას დედაკაცთათვის. რკინის გზის მოსამსახურეთათვის არჩევნები მოხდება ორ ადგილას—სადგურ „თბილისში“ და სადგურ „ნავთლუღში“.

## კავკასია

✦ **კავკასიის მხედართა უფროსმა გენერალმა პრჟევალსკიმ** განკარგულება გამოსცა, რომლითაც ის უბრძანებს ოჯახებში უვადოთ სამუშაოდ დათხოვნილ 40 და მეტის წლოვანების ჯარის კაცებს, რომ დაუყოვნებლივ სამსახურში გამოცხადდნენ. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, დეზერტირებად ჩაითვლებიან.

✦ **ხოლერა სპარსეთში.** მიღებულ ცნობების მიხედვით, სპარსეთში, თურქესტანის საზღვარზე ხოლერა გაჩენილა და 32 კაცი გახდარა ავად. ეშინიათ, რომ კავკასიაში არ შემოვიდეს ხოლერა.

## საქართველო

✦ **კონტრიბუციის დადება.** სხვა ლეგაჭარს ტერ-კეორკოვს პარკის საწყობი ჰქონია გამართული დაბა ხონში. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს კეორკოვის საწყობისათვის შეუწერია 2600 მანეთი კონტრიბუცია და ფუთ პარკზე თითო კაპეიკი, ქუთაისის საგუბერნიო კომისარიატს გაუუქმებია ხონის აღმასრულებელ კომიტეტის გადაწყვეტილება, მაგრამ უკანასკნელი ამ განკარგულებას არ დამორჩილებია და ფირმის წარმომადგენლისათვის განუცხადებია, რომ ფულს თუ არ გადაიხდი, დაგაპატიმრებო. ფირმის პატრონი ამ ამბავსატყობინებს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს და დახმარებას სთხოვს.

✦ **გლეხების თვითნებობა.** ახალქალაქის მაზრიდან მემამულე ბეგები ფალავანდიშვილები დეპეშით ატყობინებენ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ ყინდურხინის საზოგადოების 5 სოფლის გლეხები შეესივნენ ჩვენს სათიბებს და ისაკუთრებენო. ადგილობრივი კომისარიატი უძლურია დაგვიფაროს და დაუყოვნებლივ კანონიერი ზომები იხმარეთო.

✦ **ხმები ბათომის არჩევნების გამო.** როგორც ხმები დადის, ბათომის ზოგიერთ ამომრჩევლებს გადაუწყვეტიათ განასაჩივრონ უკანასკნელი საქალაქო არჩევნები ბათომში, ვინაიდან არჩევნები დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, უკანონოდ მომხდარა.

✦ **ხალდათებისა და მუშების დეპუტატთა საბჭოს** სამხედრო სექციამ დაადგინა: 1) ალექსანდრეს ბაღისთვის დაწესდეს სამხედრო დარაჯი, რომელიც თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს მიტინგებს; 2) მუშტაიდის ბაღში გაიმართოს სამხედრო კლუბი დღეობის და ნადალადევის ჯარებისათვის და გარეშე ხალხი აღარ შეუშვან ბაღში; 3) წირვის დღეებში სროლის დროს დახოცილ ჯარის კაცთა—პეტროვის და ასატუროვის გამოსვენებას დაეს-

წროს მთელი შემადგენლობა კომიტეტსა და მათი ოჯახების სასარგებლოდ გაიმართოს ფულების შეკრება.

◆ **ჩხრეკა-ჭერის დროს**, მკათათვის 17-ს, ღამით, მუშტაიდის რაიონში დაჭერილ იქმნა სულ 300 კაცამდე. მათ შორის 4 კაცი ახლად გამოშვებულია სატუსაღოდან, 25 აშკარა დეზერტირია, 100 კაცს საეჭვო ქაღალდები აქვთ თავიანთი ვინაობის შესახებ და დანარჩენების ვინაობა ჯერ გამორკვეული არ არის.

◆ **გადმოხვეწილთათვის დასახმარებლად.** გადმოხვეწილთა ბედზე მზრუნავმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასცა ქალაქთა კავშირის აქაურ კომიტეტს 46.000 მანეთი. ეს ფული უნდა მოხმარდეს გადმოხვეწილთა თავშესაფარებს.

◆ **საგუბერნიო სააღგილ მამულო კომიტეტის** წევრებად თბილისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის მხრივ არჩეული არიან: ი. გედევანიშვილი, ა. ლომთათიძე, სააკიანი, ზეინალოვი, თედეევი და აფონსკი.

◆ **სასოფლო სამეურნეო იარაღები.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მიიღო როსტოვიდან და არმავირიდან სოფლების საჭიროებისათვის: 1000 ცელი, 100 გუთანი ეკკერტისა და გენესი, 78 სათესი მანქანა, 3 ცალი სიმინდის საფშვნელი, 29 ცალი ძნების შესაკრავი და 30 ცალი ბალახის სათიბავი.

◆ **ავლაბრის ვაჟთა გიმნაზიაში** თხოვნები ბავშთა მიღებაზე აგვისტოს პირველიდან ხუთამდე მიიღება. ორმოცზე მეტი ვაკანსიაა პირველ მოსამზადებელ კლასში, სადაც მიიღებიან ვაჟები შვიდი წლიდან რვა წლამდე. ამ ცნობას ყურადღება უნდა მიაქციონ ავლაბრელ, ახალშენელ, ხარფუხელ, ნავთლუღელ და კრწანისელ ქართველებმა რადგანაც ავლაბრის გიმნაზიები ვაჟებისაც და ქალებისაც სპეციალურად ამ კუთხეებისათვის არის გახსნილი. წრეულს რუსული ენის სუსტად ცოდნაც ვერ დააბრკოლებს ბავშვებს.

## დამფუძნებელ კრების

### საარჩევნო კომისიათა დებულება ამიერ-კავკასიისათვის

(გაგრძელება)

**საამომრჩევლო სიათა შედგენის ინსტრუქცია.**

1. ამომრჩეველთა სიებს, დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ საუბნო, სარაიონო და სამაზრო კომისიების თვალყურის დევნით სასოფლო კომისიები შეადგენენ.

მუხ. 1. **სიებში შეიტანებიან და არჩევნებში მონაწილეობენ:**

ა) რუსეთის ორთავე სქესის ყველა მოქალაქე, ვინც კი ამ წლის მკათათვის 17-ს 20 წლისა გახდება.

ბ. ის სამხედრო მოსამსახურენი, ვინც კი ამავე წლის ენკენისთვის 17-ს იმ ხნისა გახდა, რა ხნისანიც უკანასკნელ დროს ვადამდე (досрочные) გაიწვიეს ჯარში.

2. **სიებში არ შეიტანებიან და არც არჩევნებში ექნებათ მონაწილეობა.**

ა) ყველანი ვინც კანონიერ წესით ცნობილნი არიან ჭკუაზე შეშლილ და შეშლილებათ და აგრეთვე სხვათა მზრუნველობაში მყოფნი ყრუ-მუნჯები.

ბ) კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით დასჯილები, თუ მათ ადრევე არა აქვთ აღდგენილი სრულ უფლებიანობა.

1) კატორგით დასჯილნი, სასჯელის მოხდენიდან 10 წლის განმავლობაში.

2) გადასახლებულები, ტუსაღების გამოსასწორებელ განყოფილებაში და გამოსასწორებელ სახლებში ჩასმულნი, სატუსაღოში თუ ციხეში მყოფნი და უფლება აყრილნი ანუ უფლება შეზღუდულნი—სასჯელის მოხდიდან 5 წ. განმავლობაში.

3) ქურდობისათვის დასჯილნი, იმათ გარდა ვინც თავიანთ დანაშაულობით მომრიგებელ მოსამართლისაგან გადასაწყვეტ სასჯელთა წესდების 171 მუხლის მე-2-ე პუნქტით არიან დასჯილნი (კანონთა კრებული მეთუთხმეტე ტომი, 1914 წ. გამოცემა) ვერაგობისათვის და ჩაბარებული ქონების მისაკუთრებისა და გაფლანგვისათვის დასჯილნი, იმ გამფლანგველთა გარდა, ვინც ამავ წესდების 177 მუხლის მეორე ნაწილს და სისხლის სამართლის და გამოსასწორებელ სასჯელთა დებულების 1681 მუხლის მე-2-ე ნაწილის (1912 წ. გამ.) ძალით არიან დასჯილნი (კან. კრებ. მეთუთხმეტე ტ.) აგრეთვე მოტაცებულის გადამალვისთვის, ისინიც ვინც გირაოებს იღებს და ყიდულობს ნაქურდალს, მოტაცებისათვის, მევახშეობისათვის, სიყალბისათვის, მექრთამეობისათვის, ქრთამის მიცემისათვის, გარყვნილობისათვის და გამოუსადეგრობისათვის დასჯილნი და აგრეთვე საკანონმდებლო და სათვითმმართველო ორგანოების არჩევნებში განზრახ ხელის შემშლელნი—სასჯელის მოხდიდან 3 წლის განმავლობაში.

გ) სასამართლოს განმარტებით ვალის გადახდის ვერ შემძლებლად ცნობილი მოვალე ბოროტგამზრახველობით გაკოტრებული—3 წლის განმავლობაში დღიდან სასამართლოს დადგენილებისა.

დ) თავის ნებით ჯარიდან წამოსული სამხედრო მოსამსახურენი (დროებით მთავრობის დადგენილება 1917 წ. მაისის 26 ს, და ბრძანება ლაშქრისა და ფლოტისადმი ამავე წლის მაისის 31—№ 17) (მათ გარდა, ვინც საარჩევნო სიების შედგენამდის ან შესაწყნარებელ მოწმობას წარადგენს, ან დანაშაულ სამსახურში მხნეობით გამოისყიდის, ან და სასამართლოდან გასასამართლებელ განაჩენსა თუ ისეთ სასჯელის მოწმობას წარადგენს რომელიც მას უფლებებს არ უსპობს.

4) საამომრჩევლო უბანში არჩევნებში მონაწილეობის ნება მხოლოთ უბნის საამომრჩევლო სიაში შეტანილ პირებს აქვთ.

5) სიებს იმ ამომრჩეველთა აღწერით შეადგენენ, ვინც აღწერის დროს საამომრჩევლო რაიონში ცხოვრობს.

6) აღწერა სახლებში დავლით და მდგმურთა გამოკითხვის დროს მიღებული ცნობები სააღწერო ბარათზე შემდეგის რიგით უნდა დაიწეროს. 1) ოჯახის თავის გვარი, სახელი მამის სახელი და წლოვანობა. 2) სახელი და მამისახელი ცოლის, დედის და მათი წლოვანობა. 3) შვილების სახელები და წლოვანობა.

4) მათ ოჯახში მცხოვრებთა და აგრეთვე მოჯამაგირე პირთა (მეეტლე, მემანქანე, მებაღე, მოჯამაგირე) გვარი, სახელი და მამის სახელი და წლოვანობა.

7) აღსაწერი ბარათები (карточки) ოჯახთა თავების გვართა ანბანის რიგზე უნდა დაეწყოს, დაინომროს აიკინძოს და შემდეგ ბარათებისა და ამომრჩევლების რიცხვი კომისიის ოქმში იქნას შეტანილი.

## საქალაქო არჩევნების წეს-რიგი

თბილისის საქალაქო არჩევნები, რომელიც გამოცემულია ახალ მთავრობის დადგენილების თანახმად დანიშნულია თბილისში მკათათვის 30-ისთვის. წინანდელ არჩევნების ცენზიანი მონაწილენი დიდის ხნობით შეჩვეულნი ამ პროცედურას, მაინც კარგათ ვერ იცნობდნენ არჩევნების წეს-რიგს. ახლა ამომრჩეველთა რიცხვი რამდენიმეჯერ გაიზარდა და ეჭვი არაა, იგინი იცნობენ მხოლოდ ახალ კანონების არსებით ნაწილს, ე. ი. რომ არჩევნები წარმოებს ცენზურს გარეშე საერთო, სწორე და ფარულის ხმის მიცემით, 20 წლის ჰასაკიდან განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

მაგრამ ეს ცოდნა არა კმარა, რათა სრულის ზომით მოიხმაროს თავისი საარჩევნო უფლება; საჭიროა კანონების ზოგიერთ დეტალის ცოდნაც, რომელიც არ არის გამოქვეყნებული ყველა ოფიციალ გამოცემებში და მაშასადამე ზოგიერთ მკითხველთათვისაც სრულიად უცნობია. ამისთვის საარჩევნო კანონებიდან ჩვენ ამოვკრებთ ზოგიერთ ცნობებს რომელთაც მოქალაქეთათვის არსებითი ინტერესი აქვთ.

დავიწყებთ სიების მიცემით, კანდიდატების ხმოსნებად დასახელებით.

არა უგვიანეს 10 დღისა არჩევნებამდე ამომრჩევლებს წინადადება ეძლევათ განუცხადონ ქალაქის თავს იმ კანდიდატების სია, რომელთაც ჰსურთ ხმოსნად კენჭი უყარონ. ამომრჩეველთა სია არ უნდა აღემატებოდეს ქალაქის ხმოსანთა საერთო რიცხვს (თბილისში—120)

სიებს ხელი უნდა მოაწეროს ამომრჩეველთა იმ რიცხვმა, რომელიც შეადგენს არა უმცირეს ქალაქის ხმოსანთა საერთო რიცხვის ნახევარისას. (თბილისში არა უმცირეს 60 ისა) თვითეულ ამომრჩეველს შეუძლიან კანდიდატების მხოლოდ ერთს სარეკომენდაციო სიას მოაწეროს ხელი.

არჩევნების საწარმოებლად შესდგება **ქალაქის საარჩევნო კომისია** ქალაქის თავის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის შემადგენლობაში ქალაქის თავი მოიწვევს სამ პირს ამომრჩეველთა შემადგენლობიდან. გარდა ამისა, კომისიის შემადგენლობაში ამ ამომრჩეველთა თვითეულ სიიდან შედის პირველი, ვინც ხელი მოაწერა სიას კანდიდატებისას, თუ ჯგუფში შესული პირები, არ ამოირჩევენ ამ მიზნისთვის თავიანთ შორის საგანგებო პირს. საუბნო არჩევნების მოსახდენად ქალაქის საარჩევნო კომისიის გარდა,—კერძოდ უბნისათვისაც შესდგება საუბნო საარჩევნო კომისია.

ერთს მათგანში თავმჯდომარეობს ქალ. თავი, სადაც კი მოისურვებს. სხვა საუბნო საარჩევნო კომისიებში თავმჯდომარეებ დ იწვევს ქალ. თავი ამომრჩეველთა სიებიდან. ამას გარდა კომისიის შემადგენლობაში შეუძლია შევიდეს თითო პირი, რომელიც ამორჩეულ იქნება ამომრჩეველთა თვითეული ჯგუფისაგან. თვითეულ ამომრჩევლის პიროვნება შემოწმებულ უნდა იქმნეს საარჩევნო ბარათით, რომელშიც იწერება სახელი, (გრედვე მამისა) და გვარი, ამასთანავე ნაჩვენები იქნება არჩევნების ადგილი და რომელსაც თვითეული ამომრჩეველი მიიღებს ქალაქის გამგეობაში.

ერთ ხმაზედ მეტის მიცემის უფლება არავის არ აქვს.

არჩევნები წარმოებს ამომრჩეველთა მხოლოდ ერთი რომელიმე კანდიდატთა სიისათვის ხმის მიცემით.

ეს არჩევნები მოხდება ამომრჩეველთაგან ფარულათ ხმის მიცემით, ბარათებით.

თვითეულ საარჩევნო ბარათში ნაჩვენები უნდა იყოს ნომერი კანდიდატების სიისა, რომელსაც ამომრჩეველი აძლევს თავის ხმას. პატარა ბარათი უნდა ჩაიდოს ამომრჩეველთა მიერ სუფთა ერთფერიანი გაუჭვრეტელს კონვერტში, რომელსაც მოამზადებს ქალ. გამგეობა და დაჰკრავს თავის ბეჭედს, კონვერტი დაიწებება და პირადად ამომრჩევლები კარ-დია სხდომაზედ ჩააბარებენ კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ამომრჩეველთა თანადასწრებით ჩაუშვებს კონვერტს დაბეჭდილ ყუთში. ის ბარათები რომელნიც არ შეესაბამებიან ამ მოთხოვნილებებს ან და დახაპნილნი და გადასწორებულნი ხმათა დათვლის დროს ანგარიშში შეტანილნი არ იქნებიან.

არჩევნების წესრიგის თვალყურის დევნა ევალება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ვალდებულია თვალი ეჭიროს, რათა იმ ოთახში, რომელშიაც კომისიის სხდომაა გამართული, მოხდეს მხოლოდ არჩევნები და არ იქნეს დარღვეული ამომრჩეველთა თავისუფლების და არჩევნათა წესიერება, ან იქვე, არჩევნების წინ, არავითარი საარჩევნო აგიტაცია არ მოხდეს.

ბარათების მიცემის მეორე დღეს, დანიშნულ საათზედ, საუბნო საარჩევნო კომისიები—თუ არჩევნები უბნებად მოხდა, გამოცხადებულ ამომრჩეველთა თანადასწრებით დასთვლიან თვითეულ სიის კანდიდატებს.

ამოსარჩევ ხმოსანთა საერთო რიცხვი თვითეულს საარჩევნო ოლქში განაწილდება წარდგენილ სიათა შორის, პროპორციულად თვითეულ სიისთვის არჩევნებში მიცემულ ხმის რიცხვისდაგვარად.

ხმოსანთა რიცხვის განსაზღვრისათვის, თვითეულს წარდგენილს სიაში ასარჩევ ხმოსანთა საერთო რიცხვი, მრავლდება იმ სიისთვის მიცემულ ხმების რიცხვზე, იყოფა იმ ხმათა რიცხვზედ, რომელიც მიცემულია მთელს ოლქში ყველა სიებისათვის. ამგვარად მიღებულ ციფრებით (ნაწევრი) განისაზღვრება ხმოსანთა რიცხვი—არჩეული რომელიმე სიით. თვითეულის სიიდან ხმოსნად არჩეულად ჩაირიცხებიან საკანდიდატო სიაში ჩაწერის რიგისამებრ, დაწყებული პირველიდან, იმდენი არჩეული, რამდენიც შეესაბამება გაყოფისაგან მიღებულს ნაწევრს (частное). თუ მიღებულს ნაწევრებში არის მთელი ციფრები ნაწილადებით (дроби), ან თუ მხოლოდ ნაწილადები, რის გამოც ამოსარჩევ ხმოსანთა საზოგადო რიცხვს, ამორჩეულთა რიცხვთან შედარებით—დააკლდება ერთი ან ორი ხმოსანი, მაშინ ნაწევრი ნაწილადების შედარებით სიდიდის მიხედვით ჩაიწერება საწილადების შედარებითი მეტობის და გვარ და ხმოსანთა აუთავებელი რიცხვი დანაწილდება იმ სიებზე, რომელთაც ანგარიშით მოუდისთ უფრო დიდი ნაწილადები.

თუ გამოცხადებულ კანდიდატების სიებში ამ კანდიდატთა რიცხვი აღმოჩნდება ხმოსანთა რიცხვზედ მცირე, რომელიც ახალის აღრიცხვით უნდა აღებულ იქმნას სათანადო სიებიდან, მაშინ ამ სიებიდან ხმოსნებათ ჩაირიცხებიან ყველა მათში ნაჩვენები კანდიდატი, დარჩენილი რიცხვი ხმოსნებისა კი, გარიგდება სხვა დანარჩენ სიებთან ზემოდ ხსენებულ წესრიგით მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გამოანგარიშების დროს ნაშთი (остатокъ), ხმების რიცხვზედ გამოკლებული იყოფა არა იმ ხმების რიცხვზედ, რომელნიც მიცემულ არიან ყველა სიებისთვის, არამედ იმ ხმათა რიცხვზედ, რომელნიც მიცემულ არიან იმ სიებისთვის, რომელთა შორის განაწილება მოხდება.

თუ უმაღლეს ადმინისტრატიულ მთავრობამ,—არჩევნების წარმოების წარდგენის შვიდი დღის შემდეგ სააღმინისტრაციო სასამართლოში პროტესტი არ განაცხადა, მაშინ არჩევნები კანონიერად ჩაითვლება.

## ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში

**სადამო ხარაგაულში.**

ხარაგაულში კვირას, 23-ს ივლისს ადგილობრივი კომიტეტი ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ მართავს დიდ სეირნობა-საღამოს, რომელზედაც ლექციონებით მოწვეულნი არიან ქუთაისიდან ვ. წერეთელი და ალ. თორაძე; საღამოზე მონაწილეობას მიიღებს მგოსანი ი. გრიშაშვილი.

—

29 ივლისს, პეტრე პავლობას სოფელ ტიბაანის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტმა გამართა წარმოდგენა, ს. ტიბაანის სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლად, რომლის წმინდა შემოსავალი არის 89 მ. და 60 კაპ. გარდა ამისა ზოგიერთმა პატივცემულმა პირებმა კეთილი ინებეს და აღნიშნულ სამკითხველოს სასარგებლოთ თავიანთი წვლილი გაიღეს:

შემომწირველთა სია: ვარია ჩარკვიანმა 2 მ., მერი ჩარკვიანმა 2 მან., ნინა თათარაშვილმა 3 მან., იტო ბლაველიშვილმა 2 მ., ალექსანდრე თათარაშვილმა 6 მან. და 50 კაპ., ვასილ ათანელიშვილმა 5 მან., სიკო ნაცვლიშვილმა 5 მ., ნიკა დათუაშვილმა 6 მან. და 50 კაპ. სულ 34 მანეთი.

შემომწირველთ, ადგილობრივი კომიტეტი საქართ. ეროვ.-დემოკ. პარტ. ულრმეს მადლობას უცხადებს.

მონდობილობით **ვასილ ათანელიშვილი.**

## კორესპონდენცია

**ქ. გუმბრი** მკათათვის 18. ქალაქ გუმბრში დაარსდა ქართველთა სამხედრო კავშირის ადგილობრივი განყოფილება. გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულია სამხ. ექიმი ვ. ჩხეიძე თავმჯდომარის ამხანაგად ჯარ.-კაცი მატახელია, მდივნათ ჯარ.-კაცი ასათიანი და მოლარეთ პოდპორ. მოდებაძე. კომიტეტის გამგეობამ დაადგინა დაარსოს ქართველ ჯარის კაცებისათვის სამკითხველო და წერა-კითხვის კურსები.

***

ადგილობრივი პარტიები ქალაქის ხმოსანთა არჩევნებისათვის ენერგიულ მუშაობას შეუდგნენ. კანდიდატთა სია წარდგენილი აქვთ სოც.-დემოკრატებს როგორც მეუმცირესეებს ისე მეუმრავლესეებს, ს.-რევოლიუციონერებს ხალხის თავისუფლების პარტიას და სომეხთა ჯგუფს. არჩევნებში გამარჯვებას ს.-რევოლიუციონერები ფიქრობენ, რადგანაც ჯარისკაცების უმეტესი ნაწილი მათ ეკედლება.

***

გუმბრის რაიონში, როგორც საზოგადოთ ერევნის გუბერნიაში, წელს პურიხახულის მოსავალი მეტად ნაკლებია. ჯეჯილი სიცხემ დასწვა ისე, რომ თავთავი არცკი გაუკეთებია. გლეხობას შიმშილი მოელის.

***

ამ ბოლო ხანებში ს.-დემ.-თა მეუმცირესეთა და მეუმრავლესეთა შორის მდგომარეობა გამწვავდა. დღე ისე არ გავა, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ არ გაილაშქრონ. გაზ. „მუშა და სალდათი", რომელიც საერთო ორგანოს შეადგენდა ხელთ მეუმრავლესეებმა ჩაიგდეს.

ნ. ა.

—

**ქ. აზრუმი.** არმიის კომიტეტმა, რევოლიუციის ინტერესებისათვის გადასწყვიტა: ეთხოვოს კავკასიის მხრის ჯარისკაცთა საბჭოს საჩქაროთ აღძრას შუამდგომლობა დროებითი მთავრობის წინაშე, ჯ. კ. და მ. და გლეხთა საბჭოების წინაშე დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქმნან ყველა სახალხო მასწავლებლები ამ წლის 10 ოქტომბრამდე, რომ სოფლად მოამზადონ ხალხი დამფუძნებელი კრებისათვის. ეს შუამდგომლობა დიდი ყურადღების ღირსად მიიჩნია არმიის კომიტეტმა და საჩქარო ძლიერ შუამდგომლობა დროებით მთავრობასთან და მუშ. და ჯარ.-კ. საბჭოს წინაშე.

## ღია წერილი

ცხრა ამ თვეს ქ. თელავში ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის საზოგადო კრება იყო დანიშნული. კრებაზე სამას წევრამდე გამოცხადდა. დღიური წესრიგი წინდაწინვე შეეძუშავებინა გამგეობასა და საბჭოს, მაგრამ ამის შეცვლა მოითხოვა საზოგადო კრებამ, რის სრული უფლება ჰქონდა მას. როგორც ყოველთვის ხდება, ამ აზრს მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ. საკითხი უნდა უმრავლესობის სურვილისამებრ გადაწყვეტილიყო. მაგრამ იცით რა მოხდა—ოციოდე მოწინააღმდეგემ სამ სი კაცის წინააღმდეგ, ისარგებლეს რა იმით, რომ სხვა და სხვა დაწესებულებებში არიან, მიმართეს მუქარა—დაშინებას და, რაც უფრო გულ სასაღვრეგია, ძალას, და უიარაღო მშრომელი ხალხის წინააღმდეგ ჯარი გამოიწვიეს და, როცა ამითაც ვერ შეაშინეს ხალხი, ერთმა მოწინააღმდეგეთაგანმა, დ. ქადაგიძემ, აქაო და აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ვარო, კრება დახურა და კამათის ნება აღარავის მისცა. ესეც არ იკმარეს სწორე-უპოვარმა რაინდებმა და მე, რომლის გამგეობაში არჩევა კრებამ მოისურვა, წინადადება მომცეს 24 საათის განმავლობაში თელავი დამეტოვებინა. მიზეზიც არ მითხრეს რათ მაცახლებდნენ. არ მომცეს საშუალება ან მოვმზადებულიყავ, ან ბარგი დამებინავებინა და სხ. ესე მომექცნენ იმ კაცს, რომელთანაც ერთი დღის წინედ თავისუფლად კამათობდნენ და მუშაობდნენ. დავ. ქადაგიძემ, სოსო მაჭავარიანმა და ძმათა მათთა ამით დაამტკიცეს, რომ ისინი განახლებულ ცხოვრებისთვის სრულებით არ ვარგებულან, რომ იგინი ისეთივე თომები არიან, როგორც თვითმპყრობელ ნიკოლოზის თვითმპყრობელი მოხელენი, მხოლოდ ქუდ გამოცვლილნი. მე, როგორც მოქალაქე, როგორც კოოპერატორი და დემოკრატი მთელ ჩემის არსებით პროტესტს ვუცხადებ ამნაირ ძალმომრეობას და იმედია ჩემს ხმას თვის ხმას შეუერთებენ ამხანაგი კოოპერატორები და სხვა დემოკრატიის მოსარჩლე პირნი. კოოპერატივები ხალხური დაწესებულებაა და იქ უნდა ბატონობდეს თითონ ხალხი—დემოკრატია და არა ორიოდე არამკითხე. არავის ნება არა აქვს ჩაერიოს კოოპერატივის ოჯახურ ცხოვრებაში, რაც უნდა დიდი თანამდებობის პირი იყოს იგი. არჩევითაც თითონ ხალხი უნდა ირჩევდეს ვინც ჰსურს და ვისაც ის ენდობა, და არა ორიოდე ვიგინდარები. როცა ვინმე ნასწავლი, თუ დიდი ან პატარა მოხელე წევრად შედის ამხანაგობაში, უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ ისიც ისეთივე წევრია, როგორც სხვა ყველა: გლეხი, ხელოსანი, დღიური მუშა, რომ იმასაც უკანასკნელებსავით ერთი ხმა აქვს, და რომ კოოპერატიულ ოჯახში იგი მუშა და გლეხის ტოლია და სწორი, და არც უფრო ჩინოსანი ბრძენ იმითი, რომ უფრო ნასწავლია, ან რაიმე თანამდებობის პირი. თუ ეს არ შეუძლიან, უნდა კოოპერატიულ დაწესებულებიდგან წავიდეს, ვინაიდგან კოოპერატივი მის ყოყოჩინობაბატონობისათვის შეუფერებელი ასპარეზია. კოოპერატივებში ხალხი უნდა ბატონობდეს და ვისაც ხალხის ბატონობა არ ესიამოვნება, თუ თითონ არ წავა, ხალხმა უნდა განდევნოს იგინი თავის წმინდა ტაძრიდგან. იქ ძალმომრეობას არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს. იქ ძმურიამხანაგური განწყობილება უნდა ჰსუფევდეს წევრთა შორის. თქვენ, ახალი თვითმპყრობელებო, გწყურთ განა რომ ხალხი მე მიჭერს მხარს და არა თქვე? გაიგეთ, რომ თუ ხალხურ დაწესებულებებში ხალხის სამსახური გინდათ, უნდა გიყვარდეთ თვით ხალხი და ხალხიც თქვენ შეგიყვარებთ. თორემ, ხომ გაგიგონიათ „შიში ვერ იქნება სიყვარულისაო". ძალით, დაშინებით და კოტებით ხალხი არ შეგიყვარებთ და არც გენდობათ. რაც უნდა დიდ თანამდებობაზე იყო ხალხისაგან არჩეული, უნდა წარმოდგენილი გქონდეს, რომ შენ არც ერთ წევრზე მაღლა არა დგეხარ, რომ მისი დაქირავებული მუშა ხარ და არა მისი ბატონი, მის მბრძანებლად მოვლენილი. ამას თვალთმაქცობით კი არ უნდა ჩიოდე, არამედ შენს ძვალსა და რბილში უნდა ორგანიულად იყვეს გამჯდარი. და ასეთი ხალხის მუშა ხალხს შეუყვარდება იმედიანად, რომ მისთვის სასიკვდილოთაც თავს არ დაიშურებს. სირცხვილი იმათ, ვინც ჩვენს განახლებულ დროშიც ხალხზე ძალით ბატონობას ცდილობენ; სირცხვილი იმათ, ვისაც ჯერ კიდევ უიარაღო ხალხის შეშინებით და სისხლის დანთხევით თავისუნის დაკმაყოფილება უნდათ; სირცხვილი იმათ, ვინც დემოკრატია—ხალხს თავის კერძო საქმეებზე ლაპარაკს უკრძალავს და უზღუდავს.

**დ. ლუკაშვილი.**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

### მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან წავლენ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ | სალ. | № 8, | 11.03 | დილ. |
| " | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისაკენ | სამგზ. | № 19, | 8,20 | დღ. |
| " | " | № 17, | 8.27 | დილ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| " | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| " | სალ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |

თბილისში მოვლენ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| " | სალ. | № 4, | 8.88 | საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| " | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ყარსიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | სალ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| " | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| " | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| [illegible] | სალ. | № 8***, | 8.10 | დილ. |


მაისის 7-დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით გაზეთი

„ჯარის კაცი"

გაზეთი წლის დამლევამდე ეღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ. Редакція газ. „Джарисъ Каци". Почтовый ящикъ № 190

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.

10—740—8 რედაქტორ-გამომცემელი კ. ცქიტიშვილი.

კომიტეტი

ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის" რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

10—740—9 კომიტეტი ქ. ს. კ.

[illegible]

[illegible]

პუშკინის ქუჩა, ხაჯუთაშვილის სახ., № 2, ტელეფონი № 112,

[illegible] (წ.)